საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნაბეჭდებიანი ბაზმეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 47 ნოემბერი 21 1899 წ. № 47

შინაარსი: ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან (დასასრული) ალ. წულუკიძისა.—სხვა-და სხვა ამბები.—„კავკაზის“ კორესპონდენციები —კვირიდან კვირამდე გ—ოსა.—ოცნება ლექსი დ. თომაშვილისა.—საზღვარგარეთ.—ბელგიიდან (გაგრძელება) ლ. დ—სა.—ხალხის ბულის შესაიდუმლე (გაგრძელება) ივ. გომართელისა.—ქუთაისის თეატრის მატიანე შავიანდასი.—ბედნიერებით მოვაჭრე დედაკაცი (დასასრული) დ—ი—სა.—წერილები რედაქციის მიმართ და შეცდომის გასწორება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წიგნეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან.

(შემდეგი *)

ფრანსუა ქენე იყო საუკეთესო წარმომადგენელი ამ სკოლის, მხოლოთ მის თხზულებაში შეხვდებით სხვაზე უფრო ჭეშმარიტ და ერცელ სისტემას; სხვების ნაწარმოები კი უმეტესათ გაბნეულია სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში და ერთ მთელს არ წარმოადგენს. [1]) ქენეს აზრით გონიერი ეკონომიური ცხოვრებისათვის საჭიროა სრული თავისუფლება. ყოველ ძალას თავისუფალი განვითარება უნდა მივანიჭოთ, თითოეული ადამიანი თავის ნებაზე უნდა აწარმოებდეს თავის სიმდიდრეს, რადგან ბუნებრივი კანონი თავისთავათ გაუნაწილებს ყველას თავიანთ ხვედრს და მით ყველანი კმაყოფილნი იქნებიან. სახელმწიფოს ჩარევა ხალხს ეკონომიურ საქმეებში მხოლოთ შეაფერხებს წესიერ მსვლელობას, ხელს შეუშლის ბუნებრივათ ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობას.

„ვაჭრობის თავისუფლებაო, ამბობს ქენე, არ უნდა იქნეს შეზღუდული, რადგან ყველაზე უფრო საიმედო, უფრო სასარგებლო ხალხისთვის და სახელმწიფოსთვის არის ის მმართველობა საგარეო და საშინაო ვაჭრობისა, რომელიც თავის ქვეშევრდომთ კონკურენციის სრულ თავისუფლებას მიანიჭებს“. ახლა ყველამ კარგათ ვიცით თუ რას შეიცავს ეს იაფი თავისუფლება; ესეც უფრო თავისუფლებს შეზღუდვას ნიშნავს; ეკონომიურ ცხოვრებაში ამ თავისუფლებით მხოლოთ ძლიერი სარგებლობს და სუსტს უკანასკნელ თავისუფლებას უკარგავს. მაგრამ ეს უკიდურესი აზრი იყო მეორე უკიდურესობით გამოწვეული. მერკანტილიზმმა ე. ი. თავისუფალი ვაჭრობა წარმოების შეზღუდვამ ამნაირი მოპირდაპირე აზრი შექმნა, რადგან განახლებულ ცხოვრებასულ წინააღმდეგს მოითხოვდა. მეფე

ტემის წყალობით გლეხ-ს ცხოვრება გაჭირვებული იყო: რაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, ერთი ორათ ფასდებოდა, ყოველი ხარჯი და გადასახადი, რომელიც დღითი დღე მატულობდა საფრანგეთში ხშირი ომიანობის გამო, სულ წვრილ მიწათმფლობელს, ისედაც გაღატაკებულ გლეხობას, აწვა კისერზე. ამიტომ ფიზიოკრატების უმთავრესი ყურადღება ეკონომიური ცხოვრების ამ მხარემ მიიქცია, სოფლის მშრომელმა ელემენტმა მიიპყრო.

„ეს იყო მიზეზი, რომ საფუძველათ მათ მოძღვრებას დაედვა ის აზრი, რომ მეურნეობაა უმთავრესი ფორმა ეკონომიური ცხოვრებისა,—ამბობს ქენე,—არ უნდა დაივიწყონ, რომ მიწა არის ერთათ ერთი წყარო სიმდიდრის, რომ მხოლოთ მისი დამუშავება შეიქმს საყოველთაო სიმდიდრეს". ვაჭრობა და მრეველობა მხოლოთ ფორმას უცვლის იმას, რასაც მიწა აძლევს, თავათ კი არაფრის შექმნა არ შეუძლია. ფიზიოკრატებმა ყველაზე უწინ შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ ვაჭრობას არ შეუძლია ახალი ღირებულების შექმნა. საქონელი სანამ ბაზარში გატანილა, გასაყიდათ დამზადებულა, მანამდი აქვს შეძენილი ახალი ღირებულება, სწორეთ იმ დროს, როდესაც თვით წარმოების პროცესსი ხდება, საქონელი კეთდება. მაგრამ ამ აზრის ნათელ გამორკვევა და ანალიზი მათ ვერ მოახერხეს და მხოლოთ ნაყოფიერი თესლი გადისროლეს ეკონომიური ცნობიერების მიდამოში, სადაც ის კვლავ აყვავდა და გაიზარდა. საზღვარ გარეთიდან შემოტანილი საქონელია, ამბობს ქენე, სახელმწიფოს შემოსავალს არ შეადგენს, რადგან მის მაგიერ ერმა ან ფული, ან თავისი საქონელი უნდა გადაიხადოს. ამნაირათ რაც შემოაქვთ სამაგიერო ისევ გაქვთ და საზოგადოებას ამისგან არაფერი რჩება. მხოლოთ მიწას შეუძლია მისცეს სახელმწიფოს წმინდა შემოსავალი (product net), მხოლოთ მიწის დამუშავება არის სასარგებლო და გამოსადეგი და ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება. მიწის დამუშავება ქენეს აზრით, გარდა იმისა რომ შრომის ხელფასს იძლევა, ზედმეტ ღირებულებასაც (сверхъ стоймость) შობს, რომელიც ერის სიმდიდრეს შეადგენს. გუთნის დედა არის ნამდვილი მწარმოებელი შემქნელი სიმდიდრის, დანარჩენი ნაწილი საზოგადოებისა მისი დაქირავებული მოხელეებია. ამიტომ ყოველივე ხარკი და გადასახადი მიწის მუშაობისაგან შექმნილ წმინდა შემოსავლიდან უნდა მოიკრიბოს და არა მუშის ქირისაგან, რომელიც ცხოვრების უმთავრეს მოთხოვნილებას ძლიეს აკმაყოფილებს. ამით ფიზიოკრატებს უნდოდათ მაშინდელი მაღალი წოდების პრივილეგიები მოესპოთ და ისიც სხვასავით მეხარკეთ გაეხადათ. ქენემ აღიღო აიღო ახალი ცხოვრების, ახლათ აღორძინებული კაპიტალისტური წარმოების თვისება შეიგნო და აღნიშნა ის ნამდვილი წყარო, რომლიდან კაპიტალისტური წარმოება საზრდოობს, იწყება და ეითარდება. ზედმეტი ღირებულება, ე. ი. საქონლის ის ნაწილი, რომელიც შექმნილა ზედმეტ შრომისაგან, რომელშიაც მშრომელს თავისი ხელფასი არ აუღია და ქარხნის პატრონს ეს შრომა მუქთათ დაუსაკუთრებია, ის ზედმეტი ღირებულება რომ დღევანდელი ერების გასაოცარ სიმდიდრეს იძლევა, აუარებელ საქონელს ქმნის ბ მსხვილ წარმოებას ავითარებს. მაგრამ ქენემ ეს ფაქტი ცალმხრივათ აღნიშნა, მან ეს ზედმეტი ღირებულება მხოლოთ მიწის დამუშავებაში ჰპოვა და წარმოების ის დარგი, რომელიც უფრო მეტ ქონებას აშენებს ამ საფუძველზე, ვერ შეამჩნია. ქარხნისა და ზაოდების იგივე თვისება მას გამოეპარა; მაგრამ ამნაირი მეცნიერული ანალიზი მსხვილი წარმოების დროს შეუძლებელი იყო, რადგან ის იყო კაპიტალისტური წარმოება ფეხს იკიდებდა, მისი ხასიათი არ იყო გამორკვეული თანამედროვეობათვის და ამიტომ ვერც ქენემ გამოარკვია ეს ახალი ფორმა წარმოება ვაჭრობისა, მან მიწათ მოქმედობას მიაქცია უმთავრესი ყურადღება და იქ ჰპოვა ჭეშმარიტების მარცვალი, რადგან იმ დროს მიწათ მფლობელნი და მიწათ მომქმედნი უფრო მეტი იყვენ ვაჭარ მრეწველზე და მიწის დამუშავების და მის ნიადაგზე აღძრული ინტერესების დანახვა და შემჩნევა უფრო ადვილი იყო, ვიდრე განუვითარებელი მრეწველობის განუვითარებელი კლასსიური წინააღმდეგობისა. ეს ცხადათ ჩანს იქიდანაც, რომ უმთავრეს მიზეზს ყოველი უთანასწორობისას, სიმდიდრე სიღარიბისას ვერ ამჩნევდა. „ყოველი მესაკუთრის ქონება უნდა დაცული იქნეს კანონით, რადგან საკუთრების უზრუნველ ყოფა არის საფუძველი ეკონომიური ცხოვრებისაო. უამისოთ მიწათ მოქმედება შეუძლებელი იქნება, რადგან არავინ არ დაიხარჯება, თავის ძალას და ქონებას მიწის სამუშაოს არ მოანდომებს, თუ დარწმუნებული არ იქნება რომ ნაყოფი მასვე ერგება," ამბობს ქენე. რასაკვირველია თანამედროვეობისათვის ცხადია, რომ მხოლოთ ამ კერძო საკუთრებაზეა აშენებული მთელი დღევანდელი წესწყობილება, ამ ნიადაგზე წარმოებს კლასსიური შებმა-შეჯახება და მანამ ეს ფორმა არსებობს, მის მიერ წარმოშობილი სოციალური წყობილება არ მოისპობა. მხოლოთ კერძო საკუთრებით აიხსნება ის ფაქტი, რომ მშრომელი თავისი ნაშრომ-ნაღვაწის მხოლოთ ერთ მეასედს ღებულობს და დანარჩენი ოთხმოც და ცხრამეტი მასალის და კაპიტალის პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონს მიაქვს. მუშაობისათვის მასალაა საჭირო. ეს მასალა კაპიტალის პატრონს აქვს, საკუთრების მქონეს ხელშია, მაშასადამე ის, რაც ამ მასალიდან გაკეთდება, მას მიაქვს, ის ისაკუთრებს, შრომისთვის კი მხოლოთ გამოსაკვებს აძლევს მუშაკს. მაგრამ ეს რთული პროცესი გაუგებარი იყო ქვენესათვის, ის იმისთვისაც მადლობის ღირსია, რომ ამნაირი ფაქტი თუნდ მარტო მიწათ მოქმედების დარგში აღნიშნა და ამით პირველათ მიგვითითა ჭეშმარიტებაზე.

ამნაირათ ფიზიოკრატებმა საზოგადოთ და ქვენემ კერძოთ კონკურენციის სრული თავისუფლება წააწერეს თავის დროშას დეევიზათ, მიწა აღიარეს ერთათ ერთ სიმდიდრის წყაროთ, კერძო საკუთრება იცნეს საზოგადო კეთილდღეობის იარაღათ და ეაჭრობა მრეწველობა ცხოვრებისათვის გამოუდეგარ ფორმათ. მხოლოთ ამდენ შემცდარ აზრებში რაოდენიმე ჭეშმარიტება ერია, რომელთაც გზა გაიკეღიეს მეცნიერებაში და ცხოვრებაში, ჰპოვეს თავისი ნამდვილი საფუძველი რომ საზოგადოება არ წარმოადგენს ერთ მთელს, ინტერესებით და მისწრაფებით განუყოფელს, არამედ ჯგუფებათ დაყოფილია და მათი ინტერესების წინააღმდეგობა არის ისტორიის დიადი შინაარსი, რომ მხოლოთ შრომას შეუძლია ღირებულების შექმნა და იმ ზედმეტი ნაწილის გამოჩეკა, რომელიც ერს ასაზრდოებს და ამდიდრებს, რომ ღირებულება არასოდეს ეაჭრობის დროს არ შეიქნება და შრომის ქირა მხოლოთ კუჭის უსაჭიროეს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რისთვისაც სახელმწიფო შემოსავალს ამ წყაროდან როდი უნდა გამოელოდეს, რომ მან შემოსავლის განძათ ის ზედმეტი ღირებულება უნდა იცნოს, რომელიც შეძლებული წოდების საკუთრება ხდება და ამით სიმდიდრის უფრო ხეირიანი განაწილება მოახდინოს... ეს მთელი რიგი მშვენიერი აზრებისა, რომელმაც საზოგადოებრივ კითხვებისადმი ინტერესი აღძრა მეცნიერებაში და შთამომავლობას მემკვიდრეობათ გადაეცა. ვნახოთ, როგორ ისარგებლეს ამით შემდეგში.

ალ. წულუკიძე.

სხვა-და-სხვა ამბავი.

Ოთხშაბათს, 17 ნოემბერს, ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურებს, ქსანსა და მცხეთას შუა უბედურება შეემთხვა მატარებელს (№ 21) რომელიც თფილისიდან ბათომს მიდიოდა. უბედურება მოხდა მცხეთიდან მერვე ვერსტზე, ძეგვის ხიდზე, რომელზედაც ამ დროს ხის კოჭებს ცვლიდენ, რისგამო რელსებმა აეყარათ ხიდის შესავალთან მცხეთის მხრივ. ამ ადგილიდან დაწესებულ მანძილზე ნიშნები იყო დადგმული, მაგრამ მემანქანემ ნიშნები ვერ შენიშნა დროზე საშინელი თოვლ-ბუქის გამო. გზის ორ დარაჯსაც ცუდათ ჩაუარა ცდამ, რომ როგორმე გაეგებინებიათ მემანქანისთვის მოსალოდნელი უბედურება. მესამე დარაჯი წითელი ბაირაღით პირდაპირ მიეგება მატარებელს, მაშინ კი იგრძნო მემანქანემ უბედურება და ეცადა კიდეც მატარებლის შეჩერება, მაგრამ გვიანღა იყო. ორთქლმავალი ხიდზე შედგა და რამდენიმე ვაგონითურთ წყალში გადავარდა. მემანქანე და მისი თანაშემწე ორივე დაიხოცენ, მძიმეთ დაშავდა აგრეთვე გზის ერთი დარაჯთაგანი. სხვა, საბედნიეროთ, არავინ გამხდარა მსხვერპლი ამ უბედური შემთხვევისა. ამ მატარებლით მოდიოდენ 196 ახლათ ჯარში გაყვანილნი საღიდათები.

—

განსაკუთრებული კომისია, რომელიც 14 ნოემბერს გაემგზავრა ყარსის რკინის გზის მისაღებათ, 18 ნოემბერს დაბრუნდა თფილისში. როგორც გაზ. „კავ.“-ს გაუგონია გზის ჩაბარება მოხდება ამ დღეებში და მატარებელთა სისტემატიური მოძრაობაც ალექსანდროპოლამდე ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში დაიწყება. რაც შეეხება ალექსანდროპოლიდან ყარსამდე, სისტემატური მოგზაურობა ყოველათ შეუძლებელია, რადგან ბევრი საკეთებელი ყოფილა კიდეე; ამის გამო ამ გზაზე მხოლოთ დროებითი მიმოსვლა იქნება.

—

პოლკოვნიკმა სემიონოვმა პარიჟიდან თფილისის ქალაქის გამგეობას მოწერა, რომ ცხენის რკინის გზაზე ვაგონების მოძრაობისათვის საუკეთესოა ახალი მეხანიკური მამოძრავებელი მანქანა. ეს მანქანა ელექტრონისაზე უფრო ძვირათ ღირს, უფრო მარტივი მოწყობილობა აქვს და ხმარების დროს საშიშიც არ არის.

—

თფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭომ უკვე შეუკვეთა საკლასო მოწყობილება მომავალ სასწავლებლისათვის და წინადადება მისცა ოდესის კერძო საკომერციო სასწავლებლის დირექტორს ფიშერს, წარმოგვიდგინეთ სხვა და სხვა საბუთების ქაღალდები, რათა შეუმდგომლობა აღეძრათ იმის შესახებ, რომ თქვენ იქნეთ დამტკიცებული მომავალ სკოლის დირექტორათაო.

—

წარსულ კვირას დაასაფლავეს ასოთამწყობი ვ. მიხაილოვი. დასაფლავებას ხალხი ბლომათ დაეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრო, უფრო მისივე მოძმეები ასოთამწყობნი. სხვა სიტყვათა შორის საყურადღებო იყო ასოთამწყობათ ყოფილ ბ. ცერცვაძის სიტყვა.

—

მთავარ მართებლის თ. გოლიცინის განკარგულებით გაზეთი „ახ. მიმ.“ დაიხურა რვა თვით.

„ᲥᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲛ ᲘᲛᲐᲢᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲘᲖᲘᲓᲐ; ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲓᲦᲔᲡ — ᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ 10 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲘᲡ; ᲐᲛ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲮᲔᲕᲐᲠᲡ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲛᲙᲘᲓᲠᲘᲜᲘ (ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ) ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲡᲣᲚᲜᲘ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲞᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲑᲘᲜᲐᲝ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲐᲚᲐᲛᲓᲔᲑᲐ ᲘᲥ ᲘᲓᲘᲜᲔᲑᲡ. ᲨᲔᲛᲐᲫᲠᲬᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ-ᲖᲐᲤᲮᲣᲚ ᲔᲠᲗ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲫᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲣᲚᲜᲘ, ᲒᲐᲛᲣᲠᲣᲚᲜᲘ, ᲒᲐᲧᲕᲘᲗᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲖᲐ ᲩᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ. ᲘᲛᲐᲗ ᲡᲐᲖᲠᲓᲝᲡ ᲔᲠᲗᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲡᲣᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ, ᲮᲨᲘᲠᲐᲗ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲣᲠᲘᲗᲐᲪ ᲘᲝᲚᲐᲗ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ; ᲡᲐᲓᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲣᲪᲚᲘᲐᲗ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲭᲐᲛᲝᲜ: ᲮᲨᲘᲠᲐᲗ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲣᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲢᲐᲚᲐᲮᲨᲘ ᲐᲜ ᲛᲢᲕᲔᲠᲨᲘ ᲪᲮᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲔᲡ, ᲪᲐᲚᲮᲔᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲠᲔ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲨᲘᲕᲔ ᲛᲘᲘᲭᲐᲛᲡ. ᲞᲣᲠᲘ ᲘᲡᲔᲐ ᲒᲐᲛᲣᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲚ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲐᲖᲔ ᲛᲘᲬᲐ ᲒᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲥᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲢᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ.

ᲐᲠᲐ ᲣᲛᲙᲝᲑᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲛᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲜᲘ. ᲗᲣ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲝᲠᲘᲝᲛᲓᲔ ᲙᲐᲠᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲜᲘᲪ ᲣᲑᲘᲜᲐᲝᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲑᲨᲘᲕᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲦᲘᲗᲐᲪ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲘᲗᲐᲪ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ; ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲑᲨᲘ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲫᲘᲛᲔᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲢᲘᲡ, ᲖᲝᲒ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲑᲨᲘ ᲬᲧᲐᲚᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲭᲐᲗᲣᲠᲐᲡ, ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲗᲚᲐᲗ ᲣᲡᲣᲤᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲑᲣᲓᲔᲐ, ᲓᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲧᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲰᲐᲚᲘ ᲡᲣᲜᲘ — ᲛᲔᲢᲐᲓᲠᲔ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ — ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ ᲣᲫᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲔᲑᲠᲣᲡ ᲐᲡᲮᲐᲛᲡ. ᲖᲔᲛᲝᲠᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲫᲠᲘᲔᲚ ᲮᲨᲘᲠᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲔᲗᲝᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ; ᲬᲔᲚᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲚᲛᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲛᲣᲪᲔᲚᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲤᲘᲚᲢᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲘᲮᲝᲪᲔᲑᲘᲐᲜ. ᲐᲡᲔ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲭᲘᲠᲘᲡᲣᲤᲚᲝᲗ ᲘᲚᲣᲞᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲣᲚᲜᲘ ᲘᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲝᲠᲘᲝᲛᲓᲔ ᲒᲠᲝᲨᲘ ᲔᲘᲛᲝᲕᲝᲗᲝ.

ᲔᲠᲗᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲡᲐᲬᲝᲚᲘᲗ. ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲓᲐᲣᲐᲠᲡᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲘᲣᲜᲔᲑᲔᲑᲘᲐᲗ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲗᲕᲐᲚ-ᲧᲣᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ; ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲢᲙᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲗ ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲕᲐᲚᲝᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲛ ᲔᲠᲗᲐᲗ ᲔᲠᲗ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲞᲐᲚᲘ ᲡᲣᲜᲘ — ᲛᲔᲢᲐᲓᲠᲔ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ — ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ ᲣᲫᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲔᲑᲠᲣᲡ ᲐᲡᲮᲐᲛᲡ. ᲖᲔᲛᲝᲠᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲫᲠᲘᲔᲚ ᲮᲨᲘᲠᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲔᲗᲝᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ; ᲬᲔᲚᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲚᲛᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲛᲣᲪᲔᲚᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲤᲘᲚᲢᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲘᲮᲝᲪᲔᲑᲘᲐᲜ. ᲐᲡᲔ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲭᲘᲠᲘᲡᲣᲤᲚᲝᲗ ᲘᲚᲣᲞᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲣᲚᲜᲘ ᲘᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲝᲠᲘᲝᲛᲓᲔ ᲒᲠᲝᲨᲘ ᲔᲘᲛᲝᲕᲝᲗᲝ.

ᲔᲠᲗᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲡᲐᲬᲝᲚᲘᲗ. ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲓᲐᲣᲐᲠᲡᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲘᲣᲜᲔᲑᲔᲑᲘᲐᲗ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲗᲕᲐᲚ-ᲧᲣᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ; ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲢᲙᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲗ ᲪᲘᲪᲥᲐ, ᲓᲝᲜᲓᲦᲚᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲤᲘᲚᲝᲥᲡᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲜᲔᲑᲚᲐᲗ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐᲜ. ᲕᲘᲡᲘᲪ ᲛᲐᲦᲚᲐᲠᲘ, ᲙᲠᲐᲮᲣᲜᲐ, ᲛᲬᲕᲐᲜᲔ, ᲐᲜ ᲡᲐᲤᲔᲠᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲜᲐᲨᲔᲜᲘ, ᲤᲘᲚᲝᲥᲡᲔᲠᲐᲛ ᲙᲐᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲝᲡᲞᲝ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲥ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲪᲓᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲕᲐᲖᲖᲔ ᲓᲐᲛᲧᲜᲐ. „ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲜᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲒᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐ, — ᲓᲐᲭᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲫᲐᲮᲘᲡ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ, — ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲜᲓᲝᲛᲝᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲮᲛᲝᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲠᲩᲝ ᲡᲐᲛᲧᲝᲤᲝ. ᲘᲛᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲐᲜ ᲔᲘᲦᲐᲪ ᲕᲘᲦᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ ᲓᲐᲛᲧᲜᲘᲗᲝ; ᲓᲐᲛᲧᲜᲝᲑᲘᲗ ᲮᲔᲮᲘᲦᲘ ᲔᲔᲠ ᲙᲐᲛᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ

—

Ს. ᲪᲮᲠᲐᲬᲧᲐᲠᲝ (ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ). ᲔᲡ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 90 - 100 ᲐᲠ ᲐᲦᲔᲐᲢᲔᲑᲐ, ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ ᲐᲥ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲐ, ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲗ ᲛᲝᲓᲘᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲘᲧᲘᲓᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲩᲝ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲥ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲒᲔᲑᲐ, ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲛᲔᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲢᲐᲜᲔᲑᲘᲐᲜ. ᲐᲥ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲝᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲛᲔᲤᲣᲢᲙᲠᲔᲝᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲗᲣᲗᲣᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲠᲐᲡᲛᲔ ᲡᲮᲕᲐᲡ.

ᲐᲥ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲗ ᲪᲘᲪᲥᲐ, ᲓᲝᲜᲓᲦᲚᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲤᲘᲚᲝᲥᲡᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲜᲔᲑᲚᲐᲗ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐᲜ. ᲕᲘᲡᲘᲪ ᲛᲐᲦᲚᲐᲠᲘ, ᲙᲠᲐᲮᲣᲜᲐ, ᲛᲬᲕᲐᲜᲔ, ᲐᲜ ᲡᲐᲤᲔᲠᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲜᲐᲨᲔᲜᲘ, ᲤᲘᲚᲝᲥᲡᲔᲠᲐᲛ ᲙᲐᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲝᲡᲞᲝ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲥ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲪᲓᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲕᲐᲖᲖᲔ ᲓᲐᲛᲧᲜᲐ. „ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲜᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲒᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐ, — ᲓᲐᲭᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲫᲐᲮᲘᲡ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ, — ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲜᲓᲝᲛᲝᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲮᲛᲝᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲠᲩᲝ ᲡᲐᲛᲧᲝᲤᲝ. ᲘᲛᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲐᲜ ᲔᲘᲦᲐᲪ ᲕᲘᲦᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ ᲓᲐᲛᲧᲜᲘᲗᲝ; ᲓᲐᲛᲧᲜᲝᲑᲘᲗ ᲮᲔᲮᲘᲦᲘ ᲔᲔᲠ ᲙᲐᲛᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ

ვაკოდვილო"? სწავლა-განათლება ცხრაწყაროელს შხამიან გველივითა ძულს. დიახ! ცხრაწყაროელი უეიცი და განუვითარებელია.

ამ ოთხიოდე წლის წინეთ აქაური მღვდლის მეთაურობით დაიწყეს ფულის მოკრება ეკლესიის ასაშენებლათ და კიდეც მოაგროვეს 600—700 მან.

ამ ფულით მას უკან არაფერი არ გაკეთებულა. არც ეკლესიის შენება დაუწყიათ, არც სასწავლებლისა, არც ბიბლიოთეკა გაუხსნია ბ. დუგლაძეს და არც სამკითხველო. მაშ რა იქნა ამოდენა ფული? ვის ხელშია დღეს იგი? ეს კითხვა ჯერ ცხრაწყაროელს არ მოსვლია და არც ბ. დუგლაძეს აღუძრავს. ცუდს არ იზამს ბ. დუგლაძე, რომ ამ ფულების შესახებ რამოდენიმე სიტყვას გაბედავდეს, და გააცნობდეს საზოგადოებას ამ შეკრებული ფულის ანგარიშს.

ა—ლი.

—

ს. ბანძა. ეს სოფელი რამდენიმე უბნისგან შედგება; პირველათ მკითხველების ყურადღებას მივაქცევ ურია-კარის უბანს. ურია-კარი, როგორც სახელი გვიჩვენებს, დარქმევია იმიტომ რომ იქ თავდაპირველათ მოსახლეობდენ ურიები. პიონერებათ ვაჭრობა-აღებ-მიცემობაში ესენი გამოსულან, რასაკვირველია, მაგრამ რა რომ თანამედროვე ცხოვრებამ ბევრი ახალი მოთხოვნილება შემოიტანა, აღებ-მიცემობაც გაფართოვდა, მკვიდრნიც გამოვიდენ ამ ასპარეზზე და თამამათ მოკიდეს ხელი ამ ახალ დარგს შრომისას. ახლა ურია კარი წარმოადგენს სამოცამდე სხვა-და-სხვა სავაჭრო და სახელოსნო დუქნებს, რომელთაგან ორი წილი მკვიდრთ ეკუთვნის და ერთი წილი ურიებს. რამდენიც დრო გადის, ვაჭრობაც იზრდება და ფართოვდება. ამას ხელს უწყობს კიდევ შემდეგი გარემოება: ბანძა წარმოადგენს საუკეთესო პუნქტს, რომლსაც ირგვლივ ბევრი სოფელი აკრავს, ძევს გზა-ჯვარედინზე, აქ იმართება ყოველკვირაობით ბაზრობა.

ერთი წილი რომ შინ კიდებს ხელს ვაჭრობა-ხელოსნობას, მეორე გადაღმა მიდის ფულის შესაძენათ. მ-სთვ ს სულ ერთია—ახლოს მოუხდება წასვლა, თუ შორს, ამ ხელობას დაიჭერს, თუ იმას: ყველა თანაბრათ ეხერხება. არც იმის ფიქრი აჩერებს, ვიშოვი გადაღმა საქმეს, თუ ვერაო; ის მაინც მიდის. ამ ქამათ გადაღმა გადასულ ბანძელების რიცხვი ბევრია და ეს რიცხვი თან და თან მატულობს.

მართალია მიწის მუშაობა ძველებურ წესზე წარმოებს, მაგრამ ამერიკელი ფერმერები სხვა რომელ სოფელში გვყავს ამ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში! შემცდარი აზრია, ვითომც არაფერი გაუმჯობესობა არ იყოს სიმინდის თესვა-მოყვანაში. ძველებური „ქართული" სიმინდი და ახლანდელი ძალიან შორიშორს არიან ერთმანეთზე; უკანასკნელი ბევრათ წინ არის პირველზე; მაშასადამე აქაც ეტყობა მისწრაფება გაუმჯობესობისაკენ. ბანძა ბლომათ ასაღებს სიმინდს—ზოგს საზღვარ-გარეთ და ზოგსაც მთიელებში. რა რომ სიმინდის ფასმა დაიწია, ხალხმა მეტი ენერგიით მოჰკიდა ხელი მეაბრეშუმეობას. ამწონელი კომისსია, რომელიც შედგებოდა მასწავლებლებისა და რამდენიმე თავადთაგან, დღეში ორას ფუთამდე პარკს წონიდა. რასაკვირველია, პარკი სხვა სოფლებიდანაც შემოდიოდა. ბევრს პირდაპირ ხონში მიჰქონდა.

რაც შეეხება სწავლა განათლების საქმეს, ბანძელი დიდი ინტერესით ეკიდება მას. რაც უნდა ღარიბი იყოს მშობელი, შეილს სასწავლო ნივთებს უყიდის, ოღონდ კი რამე ისწავლოსო. ამ ქამათ ბანძის ყველა სკოლებში სამასამდე ყმაწვილი სწავლობს.

გონერულ ექიმობასაც დიდი ყურადღებით ეკიდება ბანძელი. ის არას დროს ნასწავლ ექიმებს გვერდს არ შეუვლის, რომ მის მაგიერ უმეცარ მკითხაველებს მიმართოს. ამას მოწმობს დღევანდელი დიდი პრაქტიკა ორი ფერშლისა ბანძაში და ხუთი მოწვევა ექიმისა ხონიდან და ნაოღალევიდან. სამწუხარო ის არის მხოლოთ, რომ თვითონ ბანძაში არ არის სამუდამო ექიმი, რომელიც, როგორც დარწმუნებული ვართ, დიდ პრაქტიკასთან ცხოვრების წყაროსაც გაიჩენდა

ასეთია ბანძის მდგომარეობა დღეს. ეჭვს გარეშეა, რომ იგი წარმატების გზას ადგია, მას ეტყობა წინსვლა და ზრდა.

კ. ა—ძე.

კვირიდან კვირამდე

წითელი მტერი.—ანდერძის აგება. —ემიგრანტის წერილი. — თ—ვის გმირობა. —ქართველური ზრდილობა. — გორელების ძალი. — იერიში ბანკზე. - ქალაქის მოლოდინი.

ეი როგორ უგებს წესს ქართველებს „Чер. В."-ის ერთი კორესპონდენტი.. ამ უცნაურ მოაზრეს სადღაც გურიის მივარდნილ მთა-ღრეში მოძველებული ეკლესია უნახავს და აი აქედან ის დაუსკვნია, რომ, რადგან ქართველთა ერი ათას წლობით

ითვლის თავის სიცოცხლეს, ყოველ ეჭვს გარეშეა ის მოუძლურდა, დაბერდაო. ვაი ჩვენი ბრალიც! ჩვენ გვეგონა ეახლდებ-ით, ახალ ცხოვრების ფერხულში ვებმით, მომავალს იმედით შევყურებთ, და „Чер. Вѣс.“ მეცნიერმა კი სამარეში გვიკრა თავი— აი თქვენი ადგილი სად არისო.

***

მაგის რა მოგახსენოთ და პ. ყიფიანის ადგილი რომ ბანკი უნდა იყოს—ეს კი ვიცი, მხოლოთ, თუ რა მიზეზი იყო თავისი ადგილის მიტოვებისა და ევროპისკენ გასეირნებისა, აი ამას როგორ გვიხსნის ნასირბეგოვი: „ამ რამდენიმე თვის წინეთ სახლი დავაგირავე ქ. ბაქოს სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებაში 40,000 მან. გირავნობის ფურცელი დირექტორმა პ. ყიფიანმა ბანკშიევ დამატოვებია (ჩვენ გაგიყიდითო) და როცა რამდენსამე ხანს შემდეგ მოვაკითხე ფულისთვის, მითხრეს—ყიფიანი საზღვარ გარეთ არისო“. ამ დღეებში წერილი მოსულა ყიფიანისაგან: მე მანდ არა ვარ და არც დირექტორობა მსურსო.

***

და არც მე მინდა თფილისის საბჭოს წევრობაო,—განაცხადა ნ. ზ. თუმანოვმა. ეს ის თუმანოვი გახლავს, რომელმაც მჩარხავს თავისი კალმის დანა ძალზე აალესია და მიდგა დასაფასებელ უწყებებს და მთელი რევოლიუცია მოახდინა შიგ, ზოგი თავის სასარგებლოთ და ზოგიც თავის ახლო ნათესავების—ფხიკა, და ფხიკა სანამ ვინმე მადლიანი გაჩნდებოდა და დანას წაართმევდა. მე რომ მკითხოთ, წევრობაზე უარის თქმაც გმირობათ უნდა ჩაეთვალოს თუმანოვს. განა ბევრია ჩვენში იმგვარი მამაცები, რომ თავისი შეცდომა თუ განზრახ ჩადენილი ბოროტება ბოროტებათ იცნონ და საზოგადო საქმეს მოშორდენ? თავიანთ გონებრივ და ზნეობრივ სილატაკეს კალთა არ გადააფარონ და საზოგადო მოღვაწეს სახელი სასირცხვოთ არ ატარონ? დიახ ძალიან ცოტაა.

***

და რა გასაკვირველია ეს, როცა, ასე წარმოიდგინეთ, „მორეჩეთა“ რიცხვიც კი თითზე ჩამოსათვლელი გეყოლია; ამას თავი დავანებოთ, თქვენ ის ბრძანეთ, რომ ჩვეულებათ შემოსულა, თუ დიდმა ბურჯმა სიტყვის თქმა არ ინება რაიმე მიზეზის გამო, პატარა ბურჯიც პირში წყალს იყენებს. ესეც ძველებური ქართველური ხრდილობა. მაშ რითი აეხსნათ „მოამბის“ ხრონიკერის საყვედური ილიას მიმართ, რატომ დ. ყიფიანის ძეგლის კურთხევის დროს სიტყვა არ სთქვი და „ფანტაზიაში“ კი ყველას ყურები გამოუჭედეო? ახირებული პრეტენზიაა, თქვენმა მზემ! ყოველთვის ხომ კაცი „რეჩის“ გუნებაზე არ იქნება, და ესეც არ იყოს, სად ბრძანდებოდა თითონ მოსაყვედური? რატომ თითონ არაფერი არ ბრძანა? მაგრამ რა ეშველებოდა დღევანდელ ეტიკეტს?

***

ან რა ეშველებათ ნეტავი გორელებს? ისინიც ალბათ დღევანდელი ეტიკეტის გამო ვინმე დიდბურჯს უცდიან; მაშ რას ჰგავს იმათი ყოფა? არც სამკითხველო, არც წიგნთსაცავი, არც საკვირაო სკოლა და არც სხვა რამე გონების საზრდო. რას ფიქრობს ეპაური ინტელიგენცია? არაფერს. ძინავთ, ძინავთ ლრმა ძილით!

***

მაგიერში ქუთათური შულერები ფხიზლობენ. იმათ მიზანში ბანკი ამოუღიათ. ცუდი დრო დაუდგათ ამ ბანკებს! და არც გასაკვირველია: ეს ხანა ფულის ხანაა, ამბობენ, და ბანკიც ხომ ფულის ბუდეა. დიახ, მიზანში ამოუღიათ და თოფის სასროლ მანძილზედაც მისულან კიდეც, მაგრამ სწორეთ ამ დროს ყველაფერი გამოაშკარავებულა, პოლიცია საქმეში ჩარევია და უეცველია ეს ვაჟბატონები ციხეში ამოყოფენ თავს.

***

ხოლო გაზეთი „ცნ. ფურც.“ კი—სამარეში. ჩემთვ ს მეტის მეტათ სამძიმოა ასეთი სასტიკი წინასწარმეტყველება, მაგრამ რა ექნა, რომ ნიშნებს ეხედავ ამისას?! მაინც არ იყო ახოვანი და, დაზამთრდა თუ არა სულ, იკლო, ბატონო, ნახევარ თაბახი ძლიეს გამოდის. მართალია, იცის სხეულმა სიკვეისაგან მოკუმშვა, დაპატარავება, მაგრამ „ცნ. ფურც.“-მა ძალიან ადრე დაიწყო კრუნჩხვა, ჯერ ხომ ისე არც-კი აციებულა, და, თუ ამ ნაბიჯით იარა, იანვრამდის უსათუოთ ლავაშს გაგვახევინებს.

გ. — ო.

ო ც ნ ე ბ ა

�ტოთ მარტო, ობლათ ვიჯექ
ტკბილ ოცნებით ფრთა-შესხმული,
და, მოხიბლულს, თვალ წინ მედგა
სანეტარო გაზაფხული.

გუნდრუკს სტემდა გაფურჩქნილი
ია ვარდი და სუმბული,

და კვლ შორის თანსწორობას
უგალობდა თვით ბულბული!..

ზეციურმა ნეტარებამ
გადმოშალა თვისი თვრდა,
ეს გულს მომსვდა სასიცოცხლოთ,
მესიამა, გამესარდა..
უზეუზო გრძნობით ლელვამ
თვით ასკილი გაავარდა,
და გონებაც თვრთა-შესხმული
ზეციისკენ განავარდა
მარა მკაცრათ შემოსძახეს:
„აქ რა გინდა მაწიერსო?
განა ჭეშიერობ სელი სჭიდო
შენ საუნჯეს ზეციერსო?!.
არა! არა! და ვერც შეძლებ!
მიაშურე ისევ ერსო,
სადაც, ერთის უბედობით
მისიგე ძმა როგორ მდერსო!“.
გამოვეფხიზლდი... ეგლავ ვიხილე
რასაც ვეჩვრეტდი წარა-მარა,
ჭეი ეკცოთ დაჩაგრული
ადარც ცოცხლობს, არც მომკვდარა...
და მისიგ ძმა ამით ტკბება!
კანონია ესეც არა?..
მაშინ დაგვმე სამუდამოთ
მე ოცნება მატუ�არა...

დ. თომაშვილი.

საზღვაროგარეთ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. გერმანიის პარლამენტმა უკვე განიხილა ხელმეორეთ ცნობილი კანონ-პროექტი მუშათა კოალიციის აკრძალვის შესახებ და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი დაკვრით ბოლო მოუღო მას, საბოლოოთ უარჰყო. პარლამენტში ურიცხვი საზოგადოება დაესწრო, რომელიც გულის ფანცქალით მოელოდა კანონ-პროექტის ბედის გადაწყვეტას. კამათმა გასტანა სამ საათს. ნაციონალ-ლიბერალთა ერთი ნაწილი, როგორც წინ და წინ ეს იყო ცნობილი, შეეცადა პროექტის დაცვას და, დეპუტატი ბიუზინგის პირით, საჭიროთ აღიარა მხოლოთ ზოგიერთი პუნქტის შემსუბუქება. ბიუზინგის წინააღმდეგ ამხედრდა დეპუტატი ფონშტუმი, რომელმაც მოითხოვა კანონისათვის მეტი სისასტიკის მიცემა და წინადადება წარადგინა, კანონ-პროექტი განსაკუთრებულ კომისიას გადაეცეს განსახილველათაო. პარლამენტმა ეს წინადადება, რომელსაც კენჭი უყარეს, დიდი ხმის უმეტესობით უარჰყო. სახელმწიფო სეკრეტარმა გრაფმა პოსადოვსკიმ აღელვებული ხმით შენიშნა: რეიხსტაგის ჩვეულება და თითქმის უბრალო მართებულობაც კი მოითხოვს, რომ ასეთი საყურადღებო პროექტი თავ და პირველათ ცალკე კომისიის-მიერ იქნას განხილულიო (მარცხენა მხარეზე ხმაურობაა). შემდეგ პოსადოვსკიმ ერთხელ კიდევ სცადა პროექტის შინაარსის გამართლება. მან თქვა: მთავრობას სრულიადაც არ ჰქონდა სახეში სოციალ დემოკრატთა ალაგმვა: ბრძოლა სოციალიზმის განვითარებასთან დამოკიდებულია უმთავრესათ შეერთებულ მთავრობათა ენერგიაზე (ორატორს სიცილს აყრიან და ყვირიან: „ოჰო“!) და შემდეგ ბურჟუაზიულ პარტიების ერთსულოვნურ მოქმედებაზეო. სოციალ დემოკრატთა დეპუტატმა ჰეინემ განაცხადა: ჩვენი მოვალეობა გვიბრძანებს ყველა ავუქციოთ ყოველგვარ მსჯელობას კანონ-პროექტის შესახებ. ჩემი პარტიის სახელით ვთხოულობ უარყოფილ იქნას ყველა წინადადება პროექტთან დაკავშირებულიო. თავისუფალ მოაზრეთა დეპუტატმა რიხტერმა რეიხსტაგის სახელით წინააღმდეგობა განუცხადა პოსადოვსკის და შეჰნიშნა: რეიხსტაგს არ ესაჭიროება გუვერნიორი მართებულობის სასწავლათ; ის პროექტი, რომელიც სუფრაზე სადღეკრძელოების სმის დროს გამოგიცხვიათ და რომელიც უმრავლესობის შეხვედულობას სასტიკათ ეწინააღმდეგება, ღირსი არ არის უკეთესი მოპყრობისაო (მარცხენა მხარეზე მოწონების ხმები გაისმის).

როცა დასასრულ პროექტის მუხლები ცალ-ცალკე იქნა განხილული და თვ თეული მათგანი საოცარი სისწრაფით უარჰყოფილ იქნა, პროექტისაგან აღარაფერი დარჩა, და იგი მთლათ-ერთიანათ „პატრონს ჩაბარდა“.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲢᲠᲐᲜᲡᲕᲐᲐᲚᲘ აგერ ერთი თვე სრულდება რაც ინგლის-ტრანსვაალი ერთმანეთს შეეტაკა, და ომს ჯერ ბოლო არ უჩანს; პირ იქით, რაც დრო მიდის, ბრძოლა უფრო მწვავდება, და ლამის არის მთელი ინგლისი ბრძოლის ველზე გავიდეს. რაზმს რაზმზე გზავნის ინგლისის მთავრობა, და დედოფალი ვიქტორია მეომარ ჯარს შეკოლადსა და კანფეტებს პირდება მამაცობისათვის. არც ბურებს ძინავთ ამ დროს: ისინი ცდილობენ საუკეთესო პუნქტები სტრატეგიულის მხრით ხელთ იგდონ და კაპის კოლონიის ბურთა შორის სიმპათია მოიპოვონ, მოიმხრონ ინგლისელთა წინააღმდეგ. ორივე მიზანს თანდათან აღწევენ ტრანსვალელები: ერთი მხრით ლედისმიტს, მეფკინგს და კიმბერლეის ალყა აქვს შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტყმული და შიგ გენერალი უაიტი თავის 12,000 ჯარის კაცით მომწყვდეულია; საქმე იმ ზომამდეა მისული, რომ დღეს თუ ხვალ ან სულ ერთიანათ უნდა გაწყდენ ბრძოლის ველზე, ან არა და ყელზე თოკი მოიბან და ქუბერს ეახლონ მორჩილების გამოსაცხადებლათ; ამას გარდა ბურებმა ხელთ იგდეს ყველა გადასავალი ორანჟის მდინარეზე. მეორე მხრით კაპის კოლონიის ბურთა შორის მოძრაობაა ტრანსვალელების სასარგებლოთ.

მიზეზი ინგლისელთა ამგვარი ცუდი მდგომარეობისა აიხსნება მხოლოთ იმითი, რომ მათ ვერ იცნეს და ვერ დააფასეს თავისი მტერი. იმათ ეგონათ, რომ 15,000 კაცი სრულიად საკმარისი იქნებოდა, რათა ნება არ მიეცათ ბურებისთვის ნატალაში შემოსვლისა; ისინი მოტყუილდენ ამაში. პირველივე დღიდან ბრძოლის დაწყებისა, მათ ყველა პუნქტებში მოუხდათ ბურებთან ბრძოლა, უკანასკნელებმა დაიჭირეს პირველთა ტერიტორია, და დღეს ინგლისელთ დიდი მეცადინეობა დაჭირდებათ, რომ როგორმე „გამოაკეთონ" თავისი მდგომარეობა. ამ ხანათ გენერალ ბულერს 68,000 ჯარის კაცი ჰყავს, დანარჩენ ჯარს შუა დეკემბრამდის მოელის. ყოველ



ბ ო ერ ე ბ ი.

ეჰვს გარეშეა ბულერი ლედისმიტისკენ გაეშურება, რათა გაათავისუფლოს ტყვეობისაგან უაიტი, და მით სირცხვილიდან დაიხსნას მთელი ინგლისი, მაგრამ საქმე ის არი, გაუმკლავდება თუ ვერა გენერალ ქუბერის რჩეულ რაზმს. საზოგადოთ ბევრი იმ აზრისაა, რომ ინგლისი გაფუჭებულ საქმეს ველარ გამოაკეთებს, ბურები გაიმარჯვებენ და თავისუფლების დროშას აღმართვენ ზედ წარწერით „სამხრეთ აფრიკის შეერთებული შტატები".

გერმანიამ ისარგებლა ინგლისის არეულ მდგომარეობით და სამოას კუნძულები გამოსცინცლა მას ხელიდან; სწორეთ ისე, როგორც ოვით ინგლისმა ამ რამდენიმე თვის წინეთ ისარგებლა საფრანგეთის არეულ მდგომარეობით და უკანასკნელი ფაშოდას გამოასალმა.

საფრანგეთი. გაიმარჯვა ვალდეკ რუსოს კაბინეტმა! და ეს კი სინათლის გამეფებას ნიშნავს, ერთი ნაბიჯის წინ წადგმას მოასწავებს; ეს მელინის და მის მომხრე რეგრესიულ დასთა დამარცხებაა, კლერიკალ—კონსერვატორთა ალაგმვაა. გაიმარჯვა ვალდეკ-რუსომ, მაგრამ იცით როგორ გაიმარჯვა? გამარჯვება იყო სრული და ბრწყინვალე: მას 125

ხმა მეტი მოუვიდა, მაშინ როცა, თვით ამ მომხრენიც არ მოელოდენ 60—70 ხმაზე მეტს. კრების ამგვარმა შედეგმა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მემარცხნეებზე და ამათ მხრიდან ერთბაშათ მოისმა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას“. 4 ნოემბრის კრება ერთი რაღაც საშინელება იყო, რომლის მსგავსი არც ერთ ძველ პარლამენტარიელს არ ახსოვს. ეს მთელი რევოლიუცია იყო, რევოლიუცია მხოლოთ უსისხლოთ. კრების დაწყებისათანავე კასენიაკს, ბორდის, ლაზის და საზოგადოთ ყველა ნაციონალისტებს კლერიკალებითურთ ერთი მხრით და მელინისტებს მეორე მხრით საშინელი კამათი აუტყდათ მემარცხნეებთან. აეიდა თუ არა ტრიბუნაზე გალიფე, ატყდა შემზარავი ხმაურობა; ტყუილათ ცდილობდა დეშანელი ჩამოეგდო მყუდროება, ტყუილათ ემუქრებოდა ცენზურით, ტყუილათ არაწკუნებდა გამწარებული ზარას; ხანდახან ხმაურობა ზალაში იმ ზომამდე მიაღწევდა, რომ ილაჯ გაწყვეტილი, გაბრუებული დეშანელი მიწყვეტილი საავარძელში ჩაეშვებოდა

ჩვენთვის უფრო საინტერესოა ვივიანის და ზევაეს-ს სიტყვები, როგორც მუშათა პარტიის წარმომადგენლებისა. იმათ სიტყვებიდან თვალსაჩინოთ

გამოირკვა თუ როგორ უყურებს დღევანდელი მთავრობის პოლიტიკას და კანონ-პროექტებს მუშათა პარტია. ზევაესი შეეცადა რაც შეიძლებოდა გარკვევით და დაწვრილებით აეხსნა პრინციპიალური შეხედულებანი თავისი პარტიისა მილიტარიზმის და კლერიკალიზმის შესახებ. ზევაესი თხოულობს სრულ განშორებას ეკლესიისას სახელმწიფოსაგან და კონგრეგაციების ზოგიერთ უფლებათა შეკვეცას. მილიტარიზმის ცუდი გავლენა საზოგადოებაზე რომ მოისპოს, ამისთვის საჭიროა, ორატორის აზრით, ახლანდელი ჯარი მილიციაზე შეიცვალოს. ვივიანი ეთანხმება ზევაესს და თავის მხრით თხოულობს მუშათა სასარგებლოთ რამდენიმე ახალ კანონის შემოღებას. დასასრულ ორატორი ქებას ასხამს ვალდეკრუსოს რესპუბლიკის ასე თავ გამოდებით დაცვისათვის და მილიერანს იმ გარემოებისათვის, რომ მან, სამინისტროს წევრმა, ახლაც, გაბედა იმ სიტყვის წარმოთქმა ლილში, რომელიც ამ სამი წლის წინეთ წარმოთქვა, როცა ოპოზიციაში იმყოფებოდა. რაღა თქმა უნდა, რომ როგორც ზევაესმა, ისე ვივიანმა ხმა სამინისტროს სასარგებლოთ მისცეს.

ლ ე კ ტ უ რ ი.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

(გაგრძელება *)

Иныхъ временъ, иныхъ картинъ
Провижу и начало. ნეკრასოვი.

X.

ახლა გადავიდეთ მოთხრობის მეორე ტიპზე. თუმცა ნინოშვილი გვატყობიებს, ტარიელი ზეპოური აზნაური იყოვო, მაგრამ ტარიელი ნამდვილი ტიპია ჩვენი დღევანდელი ფეოდალური არისტოკრატიისა. დავინახოთ, როგორია ეს ტიპი, და ამით გავიცნოთ ჩვენი ფეოდალური არ-სტოკრატიის გონებრივი და ზნეობრივი ავლა-დიდება, მისი აწმყო და მომავალი.

მკლავაძეების გვარი ძველ დროს განთქმული იყო თავისი ვაჟკაცობით; რადგანაც ახოვნება და ვაჟკაცობა ძველ დროს ქართველისათვის დიდ განძს შეადგენდა, ამიტომ, უეჭველია, მკლავაძეებს ძველი დროიდანვე მოჰქონდათ თავი ვაჟკაცობით. მემკვიდრეობას და აღზრდას ასეთი აზრი თანდათან უნდა განემტკიცებია იმათში. ახალმა დრომ მკლავაძეებს ვაჭრობაზე და მამულის მოვლა მოშენებაზე დაახუ-

[1]) იხ. „კვალი“ № 45

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდაევბია ვაჟკაცობა, მაგრამ ძველი შეხედულებანი ასე უცებ როდი ისპობიან; მკლავაძეთა გვარში კიდევ დარჩენ ისეთები, „რომლების თვალში ძველებურ რაინდობას ე. ი. ძალ მომრეობას ჯერ კიდევ შერჩენოდა გვირგვინი, რომლებისთვის ჯერ კიდევ იდეალი იყო ძველებური რაინდობა“. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა ერეკლე მკლავაძეც, ტარიელის მამა. ახოვნებითა და ვაჟკაცობით ერეკლე თავს ვერ იქებდა, მაგრამ ამის გულისათვის ის სრულიადაც არ ემადლიერებოდა ბედს: ყოველთვის ნანობდა, რატომ ისეთი ვაჟკაცი არა ვარ, რომ ყველას შიშის ზარი დაეცეო. როცა მისი გვარის კაცი სხვას მიბეგვავდა, ერეკლესათვის ეს აღდგომა იყო: როგორც მკლავაძეს, თავისი მეგვარეს ვაჟკაცობა ესახელებოდა. ტარიელი ჯერ შვილიც რომ არ ყოფილიყო ერეკლესი, ასეთ პირთან ცხოვრება უსათუოთ იმოქმედებდა მის ხასიათზე, მაგრამ ტარიელი ერეკლეს შვილი იყო და ცუდ აღზრდას და გავლენას ცუდი მემკვიდრეობაც ზედ დაერთო: ტარიელს უსათუოთ გადმოეცემოდა მიდრეკილება ვაჟკაცობისაკენ და მუშტებზე ცქერისაქენ, რაც არა თუ მის მამას, მთელ მის გვარს ჰქონდა ძვალ რბილში გამჯდარი. როდესაც ტარიელი დაიბადა, ბავშის კვალობაზე ისეთი სრული ტანის იყო, რომ მამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. „გენაცვალე, ღმერთო! ტარიელი დამებადა! დაილოცოს ჩვენი გვარი! გამოსულა ჩვენ გვარში ლომკაცები და ეს არის, კიდევ გამოვიდა“! ჭყლოპინებდა ერეკლე ექვსი წლის იყო ტარიელი, როცა მას ხანჯალი ჩამოჰკიდეს მშობლებმა. მშობლების და ნათესავების გავლენა თავიდანვე ცალ მხრივათ ავითარებდა ტარიელის ბუნებას, თავიდანვე ხოლოთ ფიზიკური მხარის სიყვარულს და პატივისცემას უნერგავდა მას. გულადობა ტარიელს პატარაობისსვე ეტყობოდა; ღამე და დღე მისთვის ერთი იყო, ერთხელ ძაღლები დაესიენ და ისე მოიგერა ჯოხით, რომ ყველა გაოცებული იყო. ცუდ თვისებასთან ერთათ პატარა ტარიელი კარგ თვისებებსაც არ იყო მოკლებული, ის არ იყო ჭირვეული და ბოროტი. კარგი გავლენა და რიგიანი აღზრდა მას რიგიან ადამიანათ გარდააქცევდა, მაგრამ ტარიელში მალე ჩაბუდეს კარგი თვისებანი და განავითარეს მუშტზე ცქერა და სხვისი პიროვნების აბუჩათ აგდება. მშობლები პატარა ტარიელს მუდამ საგმირო საქმეებით უჭედავდენ ყურებს და ამიტომ ის მალე შეეჩვია გმირების წაბაძვას; როცა ის ბავშს გალახავდა, იმის მაგიერ, რომ მშობლებს დაეშალათ და დაეტუქსათ, აღტაცებაში მოდიოდენ, დაუწყებდენ კოცნას და ალერსს: „მართლა რომ ტარიელი ხარო“.

ამის შემხედვარე ბავში, რასაკვირველია, იფიქრებდა: ალბათ კარგათ ვიქცევიო, თავმოყვარეობა დაძლევდა და ხშირათ გაიმეორებდა თავის გაკვეთილებს, რომ მშობლებისთვის და სხვისთვის ვაჟკაცობით თავი მოეწონებია. რადგანაც მშობლები მეძლებული ოჯახის პატრონი იყვენ, ტარიელი სასწავლებელში მიაბარეს, თუმცა იმიტომ კი არა, რომ სწავლის მნიშვნელობა შეკნებული ჰქონოდათ, სხვებს წაბაძეს. მშობლებისაგან ზნე-წამხდარი, თვითნებობას შეჩვეული ტარიელი, რასაკვირველია, სწავლაში ვერ ივარგებდა. ტარიელი მალე გამოვიდა სასწავლებლიდან, მაგრამ ამას შემდეგ უფრო მეტი პატივითაც ეპყრობოდენ მშობლები და ნათესავები.

— ჩემი ვაჟი, ტარიელი, ვაჟკაცი იქნება და ვაჟკაცისთვის სწავლა არაფელი დიდი ბედანაა“, ამბობდა მამა მისი; სხვები კვერს უკრავდენ: „ეს რაინდათ დაუბადებია ბუნებას, ცოდვაც იქნება, სწავლის გულისთვის ამან თავისი საღი აგებულება დაასუსტოსო“. როდესაც ტარიელი წამოიზარდა, ცუდი აღზრდა და გავლენა უფრო დაეტყო მას; ის ხედავდა, რომ ყველა მას აქებდა გარეგნობისათვის, ვაჟკაცობისათვის, ამიტომ თანდათან შეისისხლ-ხორცა ის აზრი, რომ ადამიანის უპირველესი ღირსება გარეგნობა და ლონე არის, ის თანდათან გამედიდურდა, მის თვალში სხვის პიროვნებას თანდათან ფასი დაეკარგა. სხვისი შეხედულება ტარიელმაც შეითვისა და, ვინც ახოვანი, ლამაზი და მკლავ-ლონიერი არ იყო, ბაღლინჯოებათ თვლიდა. თავადი და აზნაური, განათლებული და გაუნათლებელი,—ყველა მას ეუბნებოდა: შენისთანა შვილები სახელია ჩვენი ქვეყნის, შენით თავი მოგვაქვსო, კნეინებს ტარიელზე ამოდიოდათ მზე და მთვარე, მასში მხოლოთ მამალს ხედავდენ, თავის თავში მხოლოთ დედალს და პირდაპირ ეუბნებოდენ: მშვენიერი ამ ქვეყნათ უმამაცესს ეკუთვნისო. ტარიელმა დაიწყო ლოთობა და გარყვნილება. ლოთობისათვის მას კი არ ძრახავდენ, აქებდენ კიდეც: ვაჟკაცია და ქეიფიც შეშვენისო. რადგანაც მასში განმტკიცეს ის აზრი, რომ ადამიანის უპირველესი ღირსება გარეგნობა იყო, უმამაცესს და ლამაზს კი ყველა ქალი ეკუთვნოდა, ტარიელმაც აღვირი წახადა ზნეობას, ქალში გარეგნობა დააფასა, ქალი მარტო სქესებრივი გრძნობის დამაკმაყოფილებელ მანქანათ მიიღო, ქალსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულება მარტო სქესებრივი გრძნობით განსაზღვრა და, ვინც კი მოეწონებოდა, ნამუსსა ხდიდა. თუ მის პირუტყვულ სურვილებს ვინმე ხელს შეუშლიდა, ეს კიდევ უკეთესი: ტარიელი თავის ვაჟკაცობას გამოიჩენდა, ზოგს კისერს მოუგრეხდა, ზოგს ერთი-მეორეს შეახლიდა, ზოგს ბურთივით გასტყორცნიდა, ზოგს მათრახით თავს გადუფრეწდა. სხვისი გალახვა მას ჭინს უკლავდა და სიამოვნებას აგრძ-

ნობიებდა; ამიტომ ის იარაღს იშვიათათ ხმარობდა. ბოლოს სხვისი მიბეგვა ისეთ მოთხოვნილებათ გადაექცა, ურომლისოთაც მას გაძლება აღარ შეეძლო. გლეხებს ტარიელისაგან დღე ჰქონდათ გამწარებული. ტარიელის მხეცობა იქამდის მიდიოდა, რომ ერთხელ თორმეტი წლის ქალი მოიტაცა. სხვების დახმარებით ყოველგვარი სისაძაგლე ტარიელს უდანაშაულოთ შერჩებოდა ხოლმე. ლოთობა, გარყვნილება, სხვისი პიროვნების შებღალვა, აი რაში აღარებდა ტარიელი სიცოცხლეს. გადაავლეთ თვალი ჩვენ ცხოვრებას და დაინახავთ, რომ მკლავაძეები ბევრი გვყვანან, ამგვარი პირების ბუდეს დღეს ჩვენში მხოლოთ ფეოდალური არისტოკრატია შეადგენს ე. ი. თავადობის ის ნაწილი, რომელმაც შეძლების დიდი წილი დღემდის შეირჩინა, გონების და ზნეობის კი ვერა შეიძინა რა. ტარიელის მზგავსი პირები წვენში ბატონყმობის დროსაც იყვენ; როცა გლეხი ბატონის სრულ კუთვნილებას შეადგენდა, თავადი კი მზამზარეულ სუფრას უჯდა, შეუძლებელი იყო, ტარიელის მგზავსი პირები არ დაბადებულიყვენ. მაგრამ დღევანდელი ცხოვრება გაცილებით წინ წავიდა, ვიდრე ამ ორმოციოდე წლის წინეთ იყო, ამიტომ მკლავაძეები უფრო გამოაშკარავდენ; უწინ მათი გონებრივი და ზნეობრივი სიღატაკე ასე მკაფიოთ არ ჩანდა, რადგანაც ცხოვრებაც დაბალ საფეხურზე იდგა; დღეს კი ცხოვრება განვითარდა, ადამიანის ღირსების დასაფასებლათ დროის შესაფერი საზომი გაჩნდა და ტარიელის სულიერი სიმახინჯე ყველასათვის ადვილი დასანახი გახდა. ტარიელი ბარომეტრია, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი ფეოდალური არისტოკრატიის გონებრივ მდგომარეობას, მის მომავალს; ის რომ შემთხვევის ნაყოფი არ არის, არამედ დიდი ხანია, ვითარდება ჩვენ ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ამას ქვემოთ დავინახავთ.

.ᲘᲕ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ.

(შემდეგი იქნება)

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲓᲐᲜ

ადგილობრივი თვით-მმართველობა. — მუშათა პარტია საბჭოებში. — „კომუნალური“ არჩევნები.

(გაგრძელება). *)

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ [1]) ადმინისტრატიულათ განიყოფება ცხრა პროვინციათ. პროვინცია უდრის ჩვენებურ გუბერნიას — ესენია: ანტვერპენის, ბრაბანტის, სადაც იმყოფება ბელგიის სატახტო ქალაქი ბრიუსელი, აღმოსავლეთ ფლანდიის, დასავლეთ ფლანდიის, ჰენტის, ლიეჟის, ლიმბურგის, ლიუქსემბურგის და ნამიურის პროვინციები. პროვინცია იყოფება „კომუნებათ“ [2]). ამათი რიცხვი ორი ათას ექვსასია. პროვინციასა და კომუნას გარდა კიდევ სხვა რამ დანაწილება, როგორც მაგ. ჩვენში არის მაზრა (ᲒᲔᲖᲓᲘ), აქ არ არსებობს. პროვინციაში მთავრობის წარმომადგენელია კაროლის მიერ დანიშნული გუბერნატორი. ამის არსებობა თითქმის მხოლოთ ფორმალურია. იგი ზედამხედველია პროვინციის და რამოდენათმე სარგებლობს აკრეთვე აღმსრულებელი უფლებით. ყველა საქმეთა მართვა გამგეობა ეკუთვნის პროვინციალურ საბჭოს; (conseil provincial) პროვინციის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით საბჭო შედგება 40—80-დე წევრისაგან. მათ ირჩევენ პროვინციის მცხოვრებნი 4 წლის ვადით. ნახევარი საბჭო ახლდება ყოველ ორ წელიწადში.

93 წლამდის არსებობდა 71 წლის კანონი, რომლითაც პროვინციალური საარჩევნო უფლებისათვის საჭირო იყო 20 ფრანკი პირდაპირი გადასახადი. ამ კანონის მეოხებით მცხოვრებთა უმრავლესობა გამორიცხული იყო საქმეთა მართვა გამგეობიდან. მაგ. 92 წ. მთელ ბელგიაში პროვინციალურ ამრჩეველთა რიცხვი არ აღემატებოდა 129 ათას 612-ს; ხოლო 1894 წელს კი, როცა გაუქმდა ზემოხსენებული ცენზი და საარჩევნო უფლება მიეცა ყველა 25 წლის მოქალაქეს, ეს რიცხვი გახდა ერთ მილიონ 328 ათას 637, ე. ი. ათჯერ მეტი.

პროვინციალურ საბჭოებში არ აირჩევიან პარლამენტის დეპუტატები, გუბერნატორები და საზოგადოთ სახელმწიფო სამსახურზე მყოფნი. ეს კანონი უზრუნველ ჰყოფს საბჭოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. საბჭოს წევრთ (conseiller provincial) არ ეძლევათ ჯამაგირი, მხოლოთ ისინი, ვინც ხუთ ვერსტზე შორს ცხოვრობენ საბჭოს სხდომების ადგილიდან, ყოველ 2 ვერსტზე ღებულობდენ $1^1/_2$ ფრანკს და გარდა ამისა 5 ფრ. დღიურათ, ვიდრემდის წარმოებს საბჭოს სხდომები. სხდომები გრძელდება წელიწადში 2—4 კვირა. დანარჩენ დროს პროვინციის საქმეები აბარია აგრეთ წოდებულ „მუდმივ დეპუტაციას“ ანუ კომისიას (députation permanante), რომელსაც ირჩევს თვით საბჭო თავის წევრთა შორის 4 წლის ვადით. „დეპუტაცია“ შედგება 6 წევრისაგან. 3 წევრი იცვლება ყოველ 2 წელიწადში. თვითოეულ წევრს საბჭო უნიშნავს 5000

---

*) იხ. „კვალი“ № 46.

[1]) ბელგიის ტერიტორია ეთანასწორება 29,456 ოთხკუთხ კილომეტრს ანუ დაახლოებით 25,000 კვადრ. ვერსტს. სიშიერეა „მწიდროება“ კვადრატ. ვერსტზე 223. მცხოვრებთა რიცხვი $6^1/_2$ მილიონი.

[2]) განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი — სოფელი ანუ ქალაქი — რომელთაც საკუთარი თვითმართველობა აქვთ.

ფრ. ჯამაგირს. „მუდმივი დეპუტაცია", რომელსაც თავმჯდომარეობს ,,ᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ, აღმსრულებელი ორგანოა პროვინციაში. მისი მოვალეობაა საბჭოს ყველა დადგენილებათა სისრულეში მოყვანა.

საერთოთ, პროვინციალური მართვა გამგეობა თითქმის სრულიად დამოუკიდებელია ცენტრალური მთავრობისაგან. კაროლი ერევა საქმეებში როცა აღძრულია რაიმე საფინანსო კითხვა. ამასთანავე, თუ იგი არ იძლევა საჭირო სანქციას (დაკანონებას) 40 დღის განმავლობაში, საბჭოს რომელსამე საფინანსო დადგენილებაზე, ეს უკანასკნელი შედის ძალაში. კაროლის შეუძლია გააუქმოს საბჭოს დადგენილება, როცა იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის რომელ სამე მუხლს. ამ შემთხვევაში საბჭოს უფლება აქვს 10 დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი ახსნა, მოტივები. კაროლი ან თვითონ წყვეტს კითხვას ანუ წინადადებას აძლევს პარლამენტს შეიმუშავონ კანონი, რომელიც მოხსენებულ დადგენილებას ლეგალურ (კანონიერ) სახეს მისცემდეს. თუ კაროლი საბჭოს ახსნა-მოტივებზე არ იძლევა რაიმე პასუხს 30 დღეში, საბჭოს გადაწყვეტილება დაკანონებულათ ითვლება.

კომუნას ჰმართავს და განაგებს აგრეთ წოდებული „მამასახლისთა კრებული" (collège échevinal) და „კომუნალური საბჭო" (conseil communal) უდრის საფრანგეთის მუნიციპალიტეტს და ჩვენებურ საქალაქო საბჭოს („დუმას"). საბჭოს ხმოსანთა (conseiller communal) არჩევის უფლება ეკუთვნის ყველა 30 წლის ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ, რომელსაც სამი წლის განმავლობაში უცხოვრია დანიშნულ „კომუნაში". ხოლო ბურჟუაზიას მაინც 2 და 3 ზედ-მეტი ხმა ეძლევა. vote plural-ი („მრავალ-ხმოვანი სისტემა") საერთოა, როგორც საკანონმდებელო (საპარლამენტო), ისე ადგილობრივ არჩევნებისთვის.

„კომუნის" მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით ხმოსანთა რიცხვია 7-დან 31-დე. საბჭო ირჩევა 6 წლის ვადით. ნახევარი ახლდება ყოველ 3 წელიწადში. საბჭოს კომპეტენციაში (უფლებაში) შედის ყველა ადგილობრივი საქმეები, როგორც მაგ. სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები — მათი გახსნა თუ გამგეობა. თითო სამაგალითოთ დაყენებული სკოლა ყველა „კომუნისათვის" საკალდებულოა. — აგრეთვე საავათმყოფოები, საქველ-მოქმედო დაწესებულებანი, გზები, ქუჩები, სისუფთავე, სინათლე, წყალი, მიმოსელა, ყველა ადგილობრივ დაწესებულებათა მოხელეების, მათ-შორის მასწავლებლებისაც, დაყენება, დათხოვნა, მათი ჯამაგირების დანიშვნა და სხ. და სხ.

საბჭოს კრებები არ არის პერიოდიული. ეს დამოკიდებულია საქმეების ვითარებაზე. კრების მოწვევა ყოველთვის შეუძლია ხმოსანთა ერთ მესამედს. ჩვეულებრივათ კი კრებას იწვევს მამასახლისთა კრებული. კრებას აცხადებენ სამი დღით წინ აფიშებით. ხმოსანთ უგზავნიან მოწვევის ბარათებს, რომელზედაც აღნიშნულია კრების დღე, საათი და განსახილველი კითხვები. სხდომები საჯაროა მათი დახურვა შეუძლია ხმოსანთა ორ მესამედს. მარა, როცა კითხვა ეხება „კომუნის" ბიუჯეტს (შემოსავალ-გასავალს), არა ჩვეულებრივ ხარჯის გაწევას, სესხის აღებას და სხ. კრება აუცილებლათ საჯაროა. კითხვები წყდება ხმის უმეტესობით. ხმა დაფარულია მხოლოთ როცა კითხვა ეხება ვისამე პირადობას. დიდ ფულიანი თუ ქონებრივი საქმეები, ახალი გადასახადების შემოღება, დიდი გზების გაყვანა, ქალაქების პლანის გადაკეთება, ძველი ნაშთების დანგრევა თუ შეკეთება თხოულობს კაროლის სანქციას. ისეთი საქმეებისთვის კი, როგორიც არის ბაზრებისქირა, წონა, ზომა, საზოგადოებრივ შენობათა პროექტი და სხ., საკმაოა „მუდმივი დეპუტაციის" დამტკიცება.

კაროლს არ შეუძლია საბჭოს სხდომები დახუროს ანუ შეაჩეროს. არავის არა აქვს უფლება ხმოსანი დაითხოვოს თანამდებობიდან ვადის გასვლამდის.

„მამასახლისთა კრებულს" შეადგენს ორიდან 5 დე მამასახლისი (échevin) და მათი თავმჯდომარე ბურგმესტრი. ყველა ამათ ნიშნავს კაროლი 6 წლის ვადით ხმოსანთა წრიდან; ბურგმესტრი შეუძლია დანიშნოს აგრეთვე კომუნალურ ამრჩეველთაგან. მარა ამ შემთხვევაში აუცილებლათ საჭიროა „მუდმივ დეპუტაციის" თანხმობა. გარდა ამისა, ასეთ ბურგმესტრს, ე. ი. არა ხმოსანთა წრიდან არჩეულს, არ ეძლევა გადამწყვეტი ხმა გამგეობაში. ცხადია, ეს დადგენილებანი მიმართულია იმის წინააღმდეგ, რომ კაროლის მიერ დანიშნული ბურგმესტრი არ წარმოადგენდეს ცენტრალური მთავრობის ყურ-მოჭრილ მონას. როგორც ბურგმესტრს, ისე მამასახლისებს ჯამაგირს უნიშნავს „მუდმივი დეპუტაცია". „მამასახლისთა კრებული" — ეს „კომუნალურ საბჭოს" აღმასრულებელი ორგანოა. მას სისრულეში მოჰყავს საბჭოს დადგენილებანი, განაგებს ანუ, უკეთ, ჰმოურავობს, უფლის კომუნის ქონებრივ საქმეებს, ზედამხედველობს და ინსტრუქცია-რეგლამენტებს აძლევს პოლიციას. განსაკუთრებულ შემთხვევაში ბურგმესტრს საკუთრივ შეუძლია გასცეს პოლიციას შესაფერი განკარგულება და აგრეთვე მოითხოვოს ჯარი, თუ ეს საჭიროა, აგრეთ წოდებულ, წესრიგის დასაცავათ. ყველა ასეთ განსაკუთრებულ, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივ მოქმედებისათვ ს ბურგმესტრმა შემდეგ ანგარიში უნდა ჩაბაროს და პასუხი მისცეს „კომუნალურ საბჭოს“.

„მამასახლისთა კრებულის“ ვალია აგრეთვე მეტრიკული წიგნების წარმოება. ეს აიხსნება იმით, რომ აქ, არა იშვიათათ, დაბადება, ქორწინება და დასაფლავება ხდება სამღვდელოების დაუკითხავათ და დაუხმარებლივ, ე. ი. მოქალაქეობრივი წესით.

ასეთია ბელგიის ადგილობრივი თვითმართველობა.

მუშათა პარტია, გარდა იმისა, რომ მოწოდებულია განახორციელოს ცნობილი ისტორიული მისია, არის აგრეთვე დემოკრატიული პარტია. იგი მომხრეა ყველა იმ რეფორმეის, რომელნიც აადვილებენ და ხელს უწყობენ მისი იდეალის განხორციელებას, ამცირებენ და ამსუბუქებენ ერთი წყობილებიდან მეორეში გადასვლით გამოწვეულ სოციალურ ტკივილებს. ასეთია ჭეშმარიტი დემოკრატიული რეფორმები.

Ჯ. Დ.

ქ. ᲑᲠᲘᲣᲡᲚᲘ.

თეატრის მატიანე.

Თუთაისის დრამატულმა დასმა ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვ. აბაშიძის საგასტროლოთ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში წარმოადგინა პიესები „ცხოვრების მეჯლიშზე“ და „ვაკოტრებული აზნაური“. ცნობილი არტისტის ჩამოსვლამ ბლომათ მოუყარა ხალხს თავი; თეატრი თითქმის ორიეეჯერ სავსე იყო. გასტროლერს პირველ დრამაში აღლო ისიდორეს, ეს ნახევრათ დრამატიული, ნახევრათ კომიკური როლი და მოსალოდნელი შთაბეჭდილებაც მოახდინა, მეორე პიესაში კი ის იმ ცოცხალ, მოძრავ კომიკათ გადიქცა, როგორათაც მას იცნობს მშობლიური სცენა. კვირას, 7 ნოემბერს, დადგეს ახალი დრამა გადმოკეთებული მ. ნასიძის მიერ. საზოგადოება პარტერში ძრიელ ცოტა იყო.

ზემო დასახელებული დრამა მონათლულია შემდეგი სახელით: „ბედს ვერ წაუხვალ“. გადმოკეთებულია დრამა ნიჭიერი ხელით. პიესა საერთოთ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე; სცენაზე ხედავ მხოლოთ ტირილს და ტირილს. პიესაში გამოყვანილი ტიპები თითქმის ყველა ცნობილია და დახასიათებული ქართულ ბელეტრისტიკაში, მხოლოთ ერთათ ერთ ქ. ნატალია ვარდანაშვილისას შეიძლება ახალი ტიპი ეუწოდოთ. ეს მანდილოსანი გაზდილია ცივილიზაციის ნასუფრალზე. მან კარგათ იცის სიმღერა, ცეკვა, არშიყობა და... მეტი არაფერი, მთელი ოც და ათი წელი გაატარა ამ ქალმა grande monde-ში და არ მობეზრდა მისი არარაობა, მით გატაცებულმა ულალატა მოსიყვარულე ქმარს, მიატოვა თავის ერთათ ერთი ქალიშვილი. მხოლოთ, როდესაც დაბერდა, ე. ი. როდესაც მიხვდა რომ ის არავის ესაჭიროება, მაშინ გაუღო გული მშობლიურ სიყვარულს; მხოლოთ მაშინ იგრძნო თავისი დანაშაული ქმრის და ქალიშვილის წინაშე და მიუბრუნდა უკანასკნელს, მაგრამ უარჰყვეს მისი ალერსი. ქ. ვარდანაშვილი, თუმცა დაცემული ადამიანი იყო, მაგრამ მშობლიურმა სიყვარულმა, ასე გვიან გაღვიძებულმა მასში, ის მძლავრ დედაკაცათ გარდაქმნა. დრამის ბოლოში ამ ქალს თითქმის ურიგდება მაყურებელი. თანამედროვე ცხოვრებამ ამგვარი „ბუზპეპლები“ ჩვენშიც გამოზარდა. ბ. ვარდანიშვილი ზნეობა შეუბღალავი ადამიანია. მისი კეთილშობილური მისწრაფებანი, შეუბღალავი პატიოსნება, იდეალური სიყვარული, მოძმისთვის თავდადება ჰხიბლავს ადამიანს. თალიკო ვარდანაშვილი ტიპია ჯერ ახალგაზდა მაგრამ ცხოვრების შეუბრალებელი დარჯაკში გატარებული ადამიანისა. ცხოვრების ტალღებმა, სიღარიბემ, მშობლიური სიყვარულის უცოდინარობამ, ძვირფასი ქრმის სიკვდილმა ეერაფერი დაკლეს მ-ს ყოველმხრივ შემკულ ბუნებას. თალიკო განგებას ბედნიერების ღირსათ დაუბადია და კიდეც ნახულობს იდეალს ბ. ხმელაძეში, ამ კეთილშობილური გრძნობებით გამსჭვალულ ადამიანში და მითხოვდება მას. სხვა ტიპები, ბიჭი და გოგო, გამომძიებელი ᲓᲐ სხვ. ამოღებულია იმერეთის ცხოვრებიდან. მოთამაშენი თითქმის ყველანი კარგნი იყვენ, ქ. ჩხეიძე, ივანიძე, ბ. ბალანჩივაძე ჩვეულებრივათ თამაშობდენ. მხოლოთ, ჩვენი ფიქრით, ბ. ბალანჩივაძე არ უნდა გამოდოდეს შეყვარებულის როლში. ის არ ეთანხმება მის ნიჭს. ჩვეულებრივზე მეტი ყურადღება დაიმსახურა ბ. ალექსი-მესხიშვილმა. ჩვენ დიდიხანია ვიცნობთ მას, მაგრამ არ გვახსოვს, რომ ბ. მესხიშვილს ასეთი აუწერელი, მძლავრი შთაბეჭდილება მოეხდინოს. ვარდანაშვილის როლი, როგორც დაცემული ადამიანისა, მგონი, პირველია ჩვენ პიესებში. ჩვენი ფიქრით ეს როლი შეიქნება შედევრათ ბ. მესხიშვილის როლებისა. საყვარელ არტისტის გამოძახებას დასასრული არ ჰქონდა.

ორშაბათს აქაური ქალაქის თეატრში გამართულ იქნა ხალხური წარმოდგენა. წარმოადგინეს ცნობილი მოლიერის კომედია „სკაპენის ცულლუტობა“. დასახელებულ აიესამ მოსალოდნელზე მეტი ხალხი მიიზიდა. წარმოდგენამ მეტათ მწყობრათ ჩაიარა.

შაგა—დია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერებით მოვაჭრე დედაკაცი.

(ამბავი ბ. გიოზისა).

(ფრანგულიდან)

ქალბატონი სამსონი თქვენა ბძანდებით? — შესელისათანავე შეეკითხა ის.

— მე გახლავარ, — ყრუ ხმით მიუგო მოხუცმა დედაკაცმა და წამოდგა ცეცხლის პირიდან, სადაც ძლიეს ბჟუტავდა რამდენიმე ღერი ფიჩხი.

— მე მოვედი ქ-ნი დე ვირმონტის მონდობილებით.

— ვინ არის ქ-ნი დე ვირმონტი? — შეეკითხა დედაკაცი.

— ძალიან მდიდარი ქალი, რომელსაც უნახავხართ თქვენ მონსოს ბაღში და სურს თქვენთვის კეთილი.

— ძალიან ცოტანი არიან, რომელთაც ჩემთვის კეთილი სურთ, — ნელა წარმოთქვა მოხუცმა დედაკაცმა, თითქო თავის-თავს ელაპარაკებაო.

— ქ-ნ დე ვირმონტს — განაგრძო ტკბილი ხმით ბუავომ — სურს შემწეობა აღმოგიჩინოსთ, რადგან, მისი აზრით, თქვენ ღარიბი უნდა იყოთ.

— დიახ, ღარიბი ვარ.

— ის სიამოვნებით დაგეხმარებათ.

— მე მოწყალებას არ ვითხოვ.

უფ. ბუავო ერთ წუთს შეჩერდა.

— აზრათაც არ მქონებია თქვენი შეურაცხყოფა, — მიუგო მან კიდევ უფრო მორბილებული კილოთი — მაგრამ ნუ თუ თქვენ ბედნიერი არ იქნებით, ამ ყინვაში რომ შეშა და თბილი ტანსაცმელი მოგცათ?

— ჩემ შვილს არ ეძლევა არც შეშა და არც თბილი ტანსაცმელი.

— განა შვილიცა გყავთ?

— მყავდა შვილი და შვილიშვილი. ჩემი შვილი-შვილი, ჩემი ოთხი წლის ანგელოზი, გარდაიცვალა გარემოცულობის დროს. ის ავათ იყო და ექიმი ვერ ჩეოდა რძე ვერ ესმია, მაგრამ... რძე სად არის ჩვენისთანა ხალხისათვის?

— თქვენი შვილი?

— ჩემი შვილი შორს არის, ძალიან შორს, იქ, ოკეანის გალმა; ის იმ ჯოჯოხეთურ ქვეყანაშია, რომელსაც თქვენ ახალ კალედონიას უწოდებთ. ეს სიტყვები მწუხარებით სავსე ხრინწიანი ხმით წარმოთქვა მოხუცმა.

— დიდი ხანია?

— ის შეიპყრეს ვერსალელებმა 3 ივნისს 1871 წელს; მე ვნახე ის ერთხელ ციხეში. მასუკან $6^1/_2$ წელიწადი გადის, აღარ მიხილავს. უკანასკნელი წინადადება დედაკაცის მაღალ ქვითინში ძლივს ისმოდა.

დიდ გასაჭირში ჩავარდა ბ. ბუავო, არ იცოდა რა ეპასუხნა ამ ღრმა, მაგრამ უბრალოთ აღმოთქმულ მწუხარებაზე.

— სარწმუნოება, ქალბატონო, — ანუგეშა მან ბოლოს — სარწმუნოება იძლევა ნუგეშს...

— სარწმუნოება! — შეჰყვირა საბრალო დედაკაცმა, აწია ჩაქინდრული თავი და პირდაპირ თვალებში მიაჩერდა მის მოსაუბრეს — იცით თქვენ, რომ ჩემი შვილი აბბატის დაბეზღებით იტანჯება!

— უეჭველია, აბბატს თავისი მოვალეობა შეუსრულებია, — ფარისეველური გამომეტყველებით განუცხადა ბუავომ.

— განა მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ დედას შვილი გამოსტაცონ?

— მაგრამ თქვენი შვილი დამნაშავე იყო; მან იარაღი აიღო ვერსალის კრების წინააღმდეგ.

მოხუცი დედაკაცის მიმქრალი თვალები ახლა კი აენთენ.

— მოწყალეო ხელმწიფევ — დაიწყო მან ისეთი ენერგიული კილოთი, რაც ძნელი მოსალოდნელი იყო ამ ტანჯულ, სნეული აგებულობისაგან, — არც ის ვიცი, ვინა ხართ თქვენ, არც ისა, თუ რას ფიქრობთ; მე არ მიმიღია არავითარი განათლება, მე ვარ ქალი, ცოლი და დედა უბრალო მუშისა, მაგრამ ბევრი მ-ფიქრია ჩემ სიცოცხლეში და არც არას ვაკეთებ ფიქრის მეტს მას უკან, რაც ჩემ მ-შველს დამაშორეს. რადგან ცოტა ხნის-ღა სიცოცხლე დამრჩენია, გთხოვთ ყური დამიგდოთ: მამაჩემი მონაწილეობას იღებდა დიდ რევოლიუციაში, რომელსაც ხშირათ იგონებდა თავის სიცოცხლეში; მთელი მისი სახე აენთებოდა, როცა ის მასზე ლაპარაკს დაიწყებდა; ახლაც ნათლათ მიდგია თვალ წინ მისი ამ დროს ცეცხლებრ მოელვარე თვალები. მე არ შემიძლია სრულით გადმოგცეთ ყველა მისი ნაამბობი, მაგრამ მისი სიტყვები აღწევდა ჩემ სულის სიღრმეში და კარგათ მესმოდა მისი ნაამბობი. მამაჩემი პატიოსანი კაცი იყო, ბევრს შრომობდა, საჭიკიტნოებში არ დაყიალობდა და არაოდეს არ ტყუოდა; ის გვიამბობდა მას, რის მოწმეც თითონ იყო.

ბ. ბუავოს ენდოდა გაეწყვეტინებინა ლაპარაკი, მაგრამ დედაკაცმა შეაჩერა ის და განაგრძო.

— ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროს დაჰკარგა ღარიბმა ხალხმა იმისი რამდენიმე ნაწილი, რის მოპოვებაც მოასწრო; რამდენიც უნდა გეშრომნა, ცხოვრება მაინც გასაჭირი ხდებოდა. მამაჩემი და მისი მეგობრები ხშირათ იტყოდენ: ახ, ნეტა ისევ რესპუბლიკა მოგვიბრუნდესო! მაგრამ ამ აზრის იმ დროს ცოტანი იყვენ. მას უკან უკვე 50 წელზე მეტია. მაშინ მუშების მეტი ნაწილი იმას ტიროდა, ვინც წმ. ელენეს კუნძულზე მოკვდა. 1830 წელს საჭი წლის გათხოვილი ვიყავი და ძუძუს ვაწოვებდი ჩემ პატარა მიშელს. ერთხელ შინ. შის ჟრუანტელმა დამიარა ტანში, როცა ქუჩაზე ქალების ლაპარაკში ყური მოვკარი სიტყვას ბარრიკადებს. ჩვენ მაშინ ტამპლის მიდამოებში ვცხოვრობდით. მამა ჩემი და ჩემი ქმარი ერთათ მუშაობდენ ერთ სახელოსნოში. ამ დღეს ისინი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდენ მუშაობიდან და საჭმე მოით

ხოვეს; — არაოდეს არ დამავიწყდება ის საღამო, — ეფაცფაცობდი, ვჩქარობდი სადილის მომზადებას, შევხედავდი ხან ერთს, ხან მეორეს; ორივე ჩუმათ ისხდენ; ქმარი არც კი იხედებოდა ჩემკენ; მე ვერ ვბედავდი მეკითხა რამე მათთვის; ჩუმათვე გაათავეს სადილი, ადგენ და მამამ მითხრა: „ჩემო ასულო, იყავ მხნეთ, ჩვენ მივდივართ, რომ ვიბრძოლოთ რესპუბლიკისათვის“! მე პასუხი ვერ გავეცი, ცრემლები მახჩობდა; ქმარი გადამეხვია, მაგრათ ჩამიკრა გულში; ამ დროს ბავშმა იტირა აკვანში; მამა ჩემი მივარდა მას, აიყვანა ხელში, აკოცა ლოყებზე და გადასცა ჩემ ქმარს, რომელიც დიდხანს ეხვეოდა მას და ბოლოს გადმომცა.

ამ დროს მამამ წამოიძახა: „წაიიდეთ!-“ ო და წაიიდენ. მთელი ღამე ფეხზე გავატარე, ცრემლებს ველარ ვიკავებდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მათი მოვალეობა იყო ისე მოქცეულიყვენ, როგორც მოიქცენ. დილით მობრუნდა ჩემი ქმარი და მოასვენეს საკაცეთი საბრალო მამა ჩემის გვამი. ის მოეკლათ St. dènis-ის ქუჩის ბარიკადაზე.

მოვაჭრე დედაკაცი შეჩერდა რამდენიმე წუთით, თითქო უნდოდა მწუხარება შეემსუბუქებინა.

— ეს იყო, — განაგრძო მან — პირველი დანაკარგი. ვაი! ის არ იყო უკანასკნელი! 1830 წელს შემდეგ საქმე უკეთ არ წასულა, ამ ხანათ ჩვენები იძლიენენ. პირველ დღეებში მათ საუცხოო მოქარგულ „რეჩებს“ ეუბნებოდენ, მაგრამ შემდეგ კი ეს დაავიწყდათ. იცით, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ მარტო თქვენი წრის ხალხმა ისარგებლა მითი, რაც ნოხდა. მე და ჩემი ქმარი ვცხოვრობდით როგორც შეგვეძლო და ვზდიდით ჩვენ მიშელს, თუმცა ხშირათ რამდენიმე კვირაობით უმუშევრათ ვრჩებოდით, ოხ, ეს უსაქმობა, ეს უმუშაობა! თქვენ არ იცით, რას ნიშნავს, რომ გქონდეს ჯანმთელი ხელები, არაფერს ითხოვდენ მუშაობის მეტს და ვერ შოულობდე კი მას; რამდენი მტანჯავი ფიქრები ამშლია ამ დროს! ასე იყო 1848 წლამდე. ამ წლის დასაწყისში ჩემმა ქმარმა მეგობრებითურთ ცოტა თავისუფლათ ამოისუნთქა: რესპუბლიკა დამყარდა, როგორც იქნა. თებერვლის აჯანყებას შემდეგ კიდევ საჭირო გახდა იარაღის ხელში აღება ივნისში. ჩემი ქმარი არ დაჭრილა არც პირველ, არც მეორე ბრძოლაში. მაგრამ ივნისის დღეებს შემდეგ, როცა აჯანყებულებს ბედმა უმუხთლა და დამარცხდენ, მათ უწოდეს დამნაშავენი სწორეთ ისე, როგორც თქვენ უწოდეთ ამ წამში მიშელს. დამნაშავე! განა ჩემი ქმარი დამნაშავე იყო! ის იყო მამაცი, თავ-განწირული მებრძოლი! განა ის ქურდი, მკვლელი, ავაზაკი იყო? განა დანაშაულობაა ის, რომ სიცოცხლე შესწირო სიმართლეს, არ დაინდო შენი ცოლ-შვილიც კი, როცა ამას თხოულობს საქმის გამარჯვება? დიახ, მე გაუნათლებელი დედაკაცი ვარ, მაგრამ ბევრი რამ გავიგე მაშინ. ჩემი საკუთარი თვალით დავინახე, თუ როგორ ჭლეტდენ წმ. ბენუას მონასტრის გალავანში უარაღო ტყვეებს, როგორ ერთი-მეორეზე აწყობდენ მათ, სანამ მთელი გორა არ შეადგინეს. ისე ცოცხლათ, ისე ნათლათ მიდგია თვალწინ ახლაც მაშინდელი საზარელი სანახაობა.

უფ. ბუაეომ ხელი გაიქნია უთანხმოების ნიშნათ.

— გეუბნებით, ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი — განაგრძო მოხუცმა დედაკაცმა. ჩემი ქმარი გადარჩა ძლიეს მდევნელებს. მთელ ორ თვეს ვმალე ისა და მიშელი. მიშელს არ მიუღია მონაწილეობა აჯანყებაში, ის მაშინ ძლიეს 18 წლის იქნებოდა მამამ უბრძანა სახლში, ჩემთან დარჩენილიყო; ის წინააღმდეგი გაუხდა ამას, მაგრამ ბოლოს დაემორჩილა მამის სურვილს, რადგან პატივს სცემდა მას. ორივეს დაიჭერდენ, რომ მე არა — მაშინ ხომ არ არჩევდენ არავის, ვისაც წააწყდებოდენ — იჭერდენ. მეორე წელში ჩვენ მიშელს კენჭი ერგო და გაგზავნეს ალჟირში, სადაც ოთხი წელიწადი დაჰყო. ეს დიდი ბედნიერება იყო, რადგან 1851 წელს დეკემბერში რომ აქ ყოფილიყო, მამის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა და მისთვის მიეშვირა თოფი. სწორეთ ამ თვის მესამე დღეს ჩემი ქმარი მოჰკლეს ომერის ქუჩაზე. იმ დროს ჩვენ მახლობლათ ვოლტას ქუჩაზე ვიდექით. წინა დღით, საღამოს, მოდიოდენ ჩემი ქმრის მეგობრები, ლაპარაკი ჰქონდათ „მოლალატის“ მოწოდებაზე, მაგრამ ჯერ კიფევ არ იცოდენ, როგორ ემოქმედათ, ვერ დანდობოდენ ბურჟუებს. დილით ფეხის ხმა მოგვესმა. პირველ ხმაზედვე ჩემი ქმარი ქუჩაში გავარდა. რამდენიმე წამს შემდეგ მეც გავყევი. მეღვინის დუქანში, ომერის ქუჩაზე შეკრებილიყვენ მუშათა ცოლები, ისეთნი, როგორც მე, რომელთა ქმრები ბარიკადებზე იბრძოდენ. ჩვენ ფანჯრებიდან ვიყურებოდით და თოფთა რამდენსამე მწყობრათ გრიალს შემდეგ, გავრბოდით ქუჩაზე და ეუფლიდით მოკლულებსა და დაჭრილებს. ეე სამოცდე წამოვიყვანე უკვე, მეოთხე იყო ის, ვისთანაც 24 წელს ტკბილათ ვცხოვრობდი და ვისთანაც ერთი საწყენიც არ შემხვედრია ამ ხანში. ის მკვდარი იყო. იმ დროს, როცა ის ამოვიდა მიწიდან და მუხლებზე დაჩოქილი ვკოცნიდი მის ჩატეტკილ სახეს, ტყვიამ შეანგრია ჩემი გვერდები.

მოხუცმა დედაკაცმა უცებ გაიხსნა გულ-ისპირი და აჩვენა გაძვალ-ტყავებულ გულ-ფიცარს ქვეშ-ან ჩაღრმავებული ადგილი.

— მე დავეცი ქმრის გვერდით, — განაგრძო მან, — და რა მოხდა მას შემდეგ, არაფერი მახსოვს. გონს მოვედი. მხოლოთ რამდენსამე დღეს შემდეგ, როცა უკვე ქვრივი ვიყავი. დამრჩა ერთათ ერთი მიშელი. ის მალე დაბრუნდა ჯარიდან. ორის ნაცვლათ, მარტო მას ეფერებდი. ჩვენ გვანუგეშებდა მოგონებანი ჩვენ ძვირფას გარდაცვალებულებზე; მიშელი, საბრალო მიშელი, ის მხოლოთ ჩემზე ზრუნავდა... ჩემზე ფიქრობდა... არაოდეს შვილს ისე არ ჰყვარებია დედა.

მოვაჭრე დედაკაცის ხმა მისუსტდა. ის დადუმდა და დაშტერა მიწას თვალები. უფ. ბუაეომ საშინელ უხერხულობას გრძნობდა და ცდილობდა თანაგრძნობა გამოეხატა თავის სახეზე.

— მალე დავასრულებ,—განაგრძო ერთ წამს შემდეგ მიშელის დედამ. —გავიდა წლები; ის გვიან დაქორწილდა და მალე გადაეცვალა ცოლი, რომელმაც დაგვიტოვა ჩემი პაწია არსება, მთელი ჩემი ნუგეში, მთელი ჩემი სიხარული, მთელი ბედნიერება, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, დაგვიდნა ხელში გარეშოცულობის დროს რძის უქონლობისაგან. რატომ მეც მასთან, იმ ძვირფას პაწაწკინასთან, არ მოვკვდი?... მიშელი მეისრეთ იყო სიმაგრეებზე. ერთ საღამოს მოვიდა და მითხრა: „დედა, ვერსალში დამორჩილებას აპირებენ, მგონი, მაკრამ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ამისიო!“ სახე ანთებული ჰქონდა, მეგონა მის ბებუს, პირველი რევოლიუციის მებრძოლს, ვხედავდი. მიშელი წავიდა ბევრი კვირეების განმავლობაში მხოლოთ რამდენიმე წუთით შემოიბრენდა ჩემთან, რომ გადმოეცა ჩემთვის ოავისი ჯამაგირი, რომელიც შეადგენდა ჩვენ ერთათ ერთ სახსარს. როცა ყველაფერი გადაწყდა, ის შემოვიდა ჩემთან გაფითრებული, ჩაგლეჯილი, საშინლათ გამხდარი. ოთხი დღე და ღამე გამოუსვლელათ იჯდა სახლში. მეხუთე დღეს მოვიდენ მის დასაჭერათ და წაიყვანეს. აი ჩვენი ცხოვრება, მოწყალეო ხელმწიფევ. გესმისთ თქვენ ახლა თუ არა, რისთვის არ მსურს მე თქვენი მოწყალება? რაც უნდა ცუდი ცხოვრება მქონდეს მე აქ, მაინც ბევრათ უკეთესი იქნება ჩემი ცხოვრება მიშელის იქ ცხოვრებაზე. რა არის ჩემი კაპრიზება მის გაჭირვებასთან შედარებით? განა შემძლია ვიფუფუნო, როცა ვიცი, როგორ იტანჯება ის იქ სულითა და ხორცით და რამდენ შეურაცხოებას იტანს? მე მინდა მხოლოთ ის, მარტო ის და სხვა არაფერი! ექეს წელიწად ნახევარი ცოტა ხანია? მოვესწრები მის ნახვას? რაღაც გათავისუფლებაზე ლაპარაკობენ... ოხ, ადრე მაინც მოვიდეს ის დრო, თორემ... მე აღარც კი ვიქნები!

აქ მოვაჭრე დედაკაცი დადუმდა.

— მაგრამ, ხელმწიფევ, —გაუბედავათ შენიშნა ბ. ბუაეომ, —თქვენ შვილს შეეძლო შეწყალება ეთხოვა, იქნება მიეტევებინათ მისთვის.

— შეწყალებაო! ცხადი ირონიით წამოიძახა მოხუცმა დედაკაცმა და გაიმარცა მთელი ტანით.— თავი დამანებეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენ არა ვართ ერთმანეთის გასაგებათ გაჩენილნი! ჩვენ შორის არაფერია საერთო!

უფ. ბუაეომ შერცხვენით ჩაიბუტბუტა რაღაც და გამოვიდა. მან გადასცა თავისი დამარცხების ანგარიში ქ-ნ დე-ვირმონტს, რომელმაც მალე მიიეწყა მინისოს ბაღში მოვაჭრე დედაკაცი.

III.

გავიდა სამი კვირა. უფ. დე-ვირმონტი და მისი მეუღლე ბ. ბუაეოსთან ერთათ საღილს შეექცეოდენ. სტუმრები ბევრი არაენ იყო, და ამიტომ გასტონ-ც მათთან ერთათ საღილობდა. როცა ბოლოს ტკბილეულობა შემოიტანეს რომლის ფორმა ბედნიერების ხვეულებს მიემსგავსებოდა, ბავშმა უეცრივ წამოიძახა:

— იცი, დედა, ქ-ნი სამსონი აღარ მოდის მეტათ ბაღში; ერთხელ გავიგონე როგორ უამბობდა სტოროოქ ჟერმენს, რომ ის მთელი ოთხი დღეა გამოსულა თურმე გარეთ და ამიტომ გაგზავნეს პოლიციელები, რომელთაც გააღეს მისი ოთახის კარები და ქ-ნი სამსონი იატაკზე გაშხლართული ნახეს. ექიმმა თქვა თურმე, რომ მას გულს შემოჰკრია და შიმშილისაგან მომკვდარაო. დედა, შიმშილისაგან სიკვდილი იმასა ჰქვია, რომ საჭმელი არაფერი ჰქონდეს და მოკვდეს? არა, დედა?

პასუხი არავინ გასცა. მსუბუქმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში ქალბატონ დე-ვირმონტს, გასტონი კი, ბავშური ბუნების თანახმათ, სხვაზე გადავიდა:

— დედა, ცოტა კრემი მომეცი კიდევ!

დ—ი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ოქტომბრის 24 დ. ხიდისთავში აქვერ სტენის მოუკრეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „ქერ“—ორ მოქმედებიანი კომედია გ. ერისთვისა და „ოიბაზი“ ვოდევილი ა. ცაგარლისა. სარჯს გარეთ წმინდა შემოსავალი იყო 21 მ. 25 კ. აქედან 6 მ. გადაეცა ადგილობრივი სამრეკლო სკოლის სასარგებლოთ, ხოლო დანარჩენი 15 მ. 25 კ. გარდაეცა ხაზინადარს ბიბლიოთეკისა. უდრმეს მადლობას გუცხადებ ზემოხსენებულ პირებთან ერთათ სერ. ვ. რამიშვილს, ელისე და დიმიტრი კლანდაძეს, კონდრატე გაბაჩვაძეს და დიკით ბასტაძეს. მადლობის დირსია აგრეთვე ქ. ტერეზია რამიშვილისა, რომელმაც მსურველნი მონაწილეობა მიიღო ბილეთების გაყიდვაში.

ნესტორ კიკვიძე.

შეცდომის გასწორება.

წერილში „კოპერნიკიდან დარვინამდე“ მეორე პწკარში ნათქვამია. ფილოსოფოსი კონტი, უნდა იყოს—ფილოსოფოსი კანტი.

„სოფლის ცხოვრება“-ში ბოლოდან მეშვიდე პწკარში ნათქვამია: აუარებელი კატი დამსხსო, უნდა იყოს უზიარებელი კატი....

ᲫᲛᲐᲗᲐ ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲪᲘᲠᲙ.

კვირას, 21 ნოემბერს იქნება პირველი წარმოდგენა ცნობილი მეთილისეული **ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ**, რომელიც მოკლე ხანით ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში. 9 სექტემბერს 1898 წ. ბ. ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ წარმოდგენას დაესწრო დიდებული სასახლეში მათი ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

Дозв. цензуръ. Тифлисъ, 20 Ноября 1896 г. Тип. Т. М. Рогніяніца—ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ. Год. изд. I. № 41.